ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 1 (1336)

15-21 იანვარი, 1993 წ.

## ჩვენს მთავრობაში ისე იქცევიან...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მიმდინარე წლის 1 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება ადგილზე წარმოებული კვების პროდუქტებით ვაჭრობაში შეზღუდვების შემოღების შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან არასახელმწიფო კომერციულ სტრუქტურებსა და კერძო პირებს აეკრძალათ ჩვენს ფაბრიკებში და კვების მრეწველობის პროფილის სხვა საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის შესყიდვა და შემდგომ მისი გაყიდვა. შესაბამისად, კვების პროდუქტების მწარმოებელ ორგანიზაციებსაც აეკრძალათ საკუთარი პროდუქციის არსახელმწიფო ორგანიზაციებზე მიყიდვა.

დადგენილების ავტორთა აზრით, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის სასურსათო პროდუქტების მტკიცე სახელმწიფო ფასებში მიწოდებას და სახელმწიფო სავაჭრო ქსელის დახლების შევსებას დღეისათვის ფრიად დეფიციტური და აუცილებელი საქონლით.

ღმერთმა ქნას, ასე იყოს. მაგრამ ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, რატომღაც გვეჩვენება, რომ ეს სამთავრობო დადგენილება კიდევ ერთი, ისეთივე ადმინისტრაციული ღონისძიება გახლავთ, როგორიცაა ყბადაღებული პურის ბარათების სისტემა, რომელიც ამ ერთი თვის წინ შემოიღო ქალაქის მერიამ და რომელიც პრობლემის კოსმეტიკური შელამაზების მცდელობას უფრო წააგავს, ვიდრე მისი გადაჭრისათვის ზრუნვას.

არ გვინდა პესიმისტები ვიყოთ, მაგრამ თუ საქმეს რეალურად შევხედავთ, ამ უკანასკნელმა სამთავრობო ნაბიჯმა ეკონომიკაში დამკვიდრებული ქაოსის აღმოსაფხვრელად შეიძლება უფრო უარესი ქაოსი გამოიწვიოს, ფასების კიდევ უფრო აწევა, საქონლის დეფიციტი და სხვა არასასიამოვნო სიურპრიზები მოგვიტანოს შედეგად.

არც ის გვინდა, რომ მკითხველმა ისე გაგვიგოს, თითქოს მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური ყოფის შემსუბუქების ან ვაჭრობაში გარკვეული წესრიგის დამყარების წინააღმდეგი ვიყოთ, მაგრამ დღეს, როცა საქვეყნოდ ვაცხადებთ. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა უნდა ვაშენოთო, პირიქით კი ვაკეთებთ: კვლავ, უკვე მერამდენედ, მივმართავთ ეკონომიკური რეფორმების შეზღუდვას სხვადასხვა ღონისძიებებით, ხალხისათვის სიკეთის მოტანის საბაბით ვზღუდავთ თავისუფალ ვაჭრობას, სხვადასხვა გადასახადებით ვახრჩობთ თავისუფალ მეწარმეობას და ა.შ.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემებზე საუბარი ეკონომისტებისათვის უფრო უპრიანია და ჩვენ არც ვაპირებდით ამ თემაზე მსჯელობას, რომ არა ერთი ფრიად კურიოზული და შეიძლება ითქვას, ერთგვარად საგანგაშო ფაქტი: ა.წ. 5 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, მთავარი ეკონომიკური რეფორმატორის, ბატონ რომან გოცირიძის საპროტესტო წერილი, რომელშიც ბატონი ვიცე-პრემიერი უარყოფით შეფასებას აძლევს აღნიშნულ დადგენილებას, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეწინააღმდეგება ეკონომიკური რეფორმის ძირითად კურსს, ეკონომიკური პროფილის სამინისტროების ხელმძღვანელებთან შეუთანხმებლადაა მიღებული და მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობა მის ავტორებს დაეკისრებათო.

კურიოზულია ის ამბავი, რომ თუ არც მთავარმა ეკონომიკურმა რეფორმატორმა და ეკონომიკური რეფორმის სამინისტროთა ხელმძღვანელებმა არაფერი უწყოდნენ ამ დადგენილების თაობაზე, მაშინ ვინ მოამზადა და ვინ მიიღო იგი?! საგანგაშო კი ის გახლავთ, რომ როგორც ამ ფაქტიდან სჩანს, ჩვენს მთავრობაში ისე იქცევიან, როგორც გედი, ქარიყლაპია და კიბორჩხალა იქცეოდნენ კრილოვის ერთ იგავში, ანუ მინისტრთა კაბინეტის წევრთა ერთი ჯგუფი, ეტყობა, სოციალისტური ეკონომიკისკენ იქაჩება, მეორე — თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისკენ, მესამეს კი ახლანდელი ქაოსი უფრო აძლევს ალბათ ხელს და ამ ქაჩვა-ჭიდილში კი ხალხი, ანუ ჩვენ, ვზარალდებით და ღმერთმა უწყის, უკვე მერამდენედ ვხდებით სხვადასხვა ეკონომიკური (ხშირად მოუაზრებელი) ექსპერიმენტის საცდელი ობიექტი.

იქნებ განგვიმარტონ რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა, რატომ ხდება ასე და საერთოდ, უთხრან ხალხს, რა გზით აპირებენ სიარულს?

სერგო ჯანაშია

## ჩვენი დღევანდელი ნომრის შესახებ

გაზეთ „საქართველოს" დღევანდელ ნომერს მხოლოდ ე.წ. ელიტარული მკითხველი თუ წაიკითხავს. ვისაც მხოლოდ მსუბუქი, გასართობი ან საჭორაო ამბები აინტერესებს, მან შესაძლოა ჩვენი გაზეთი გვერდზე გადადოს, რადგან ერთობ ვრცელმა და მეტად სერიოზულმა წერილებმა მოიყარა თავი ამ ნომერში.

შუშანა სახლთხუციშვილის სტატია „როცა ტყუილი ფეხს იდგამს...", ვფიქრობ, ბევრ ქართველს გააცნობიერებს თავისი გვარის რაობასთან დაკავშირებით.

ოსები მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით როდი იბრძვიან ქართველი ერის წინააღმდეგ, მათ არსენალში სხვა საშუალებებიცაა გამოყენებული, აი, ამაზე მოგითხრობთ ხსენებული წერილი.

მკითხველმა უთუოდ უნდა გაიცნობიეროს ის საშიშროება, რასაც მიხეილ მახარაძე აღგვიწერს პუბლიცისტურ წერილში: „მართლაცდა რა ჰქვია ამას?!"

დღევანდელ ნომერში სხვა დამაფიქრებელ მასალებსაც გაეცნობით.

## მომავალ ნომერში კი გთავაზობთ

გურამ ფანჯიკიძის,
ირაკლი ქადაგიშვილისა
და
თენგიზ კიტოვანის
ინტერვიუებს.

ერთი სიტყვით, ვისაც ქვეყნის ბედი აინტერესებს, ჩვენს გაზეთს თვალი პირველივე ნომრიდან ადევნოს.

## თავისუფალი პრესის თავისუფლებისათვის

თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი რომ თავისუფალი პრესაა, ვფიქრობთ, არავინ ეჭვობს. თავისუფლება რომ გარკვეულ პრობლემებს ქმნის, ალბათ, არც ეს აეჭვებს ვინმეს. მაგრამ პრობლემები არა მხოლოდ ობიექტური, სუბიექტური მიზეზებითაც ჩნდება. სწორედ ამ სუბიექტური მიზეზების ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრის ორგანიზაციისათვის, გაზეთების „საქართველოსა" და „დრონის" ინიციატივით თავისუფალი გაზეთების რედაქტორებს, ასევე გამომცემლობა „სამშობლოს" და კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელებს ვიწვევთ პარასკევს, 15 იანვარს 4 საათზე გაზეთ „საქართველოს" საკონფერენციო დარბაზში. მისამართი: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქუჩა 5, მეორე სართული. ცნობებისათვის დარეკეთ: 93—18—41, 93—20—36.



# როცა ტყუილი ფეხს იდგამს...

**შუანგ სახლთხუციშვილი**

„...ოსურმა პროპაგანდამ, როგორც ეტყობა, ძალიან ბევრი წაოაგო ანკესზე, ბევრი ქართველი დაარწმუნეს, რომ წარმოშობით ოსია და პასპორტშიც ოსი ჩაუწერეს. ეს პროპაგანდისტული მანქანა, ჩანს, ძალიან დიდი ხანია მიზანსწრაფულად მუშაობს და უკვე სამაჩაბლოს ფარგლებს გარეთაც გასულან."

ოციანი წლების დასაწყისში რუსულმა ბიუროკრატიამ ბოლშევიკური ნიღაბი აიფარა და თავისი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად საქართველოსკენ დაძრა წითელი ურდოები. გულანთებული მამულიშვილები მედგრად ეკვეთნენ პირსისხლიან მტერს, და უთანასწორო ბრძოლაში გმირულად შესწირეს სამშობლოს თავი. ჩვენს მიწა-წყალს მრავალი მხრიდან შემოესია მტერი, რომელსაც მეგზურობასა და აქტიურ დახმარებას უწევდნენ ჩვენი წინაპრებისაგან დაპურებული ხიზნები, ჩვენს კალთას თავშემოფარებული უმადური ნაწილი უცხოტომებისა, რომელთაც დაევიწყებინათ ღმერთიცა და სტუმარმასპინძლობის ძველთაძველი ადათიც. ამ უმადურ სტუმართა შორის განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ოსმა ექსტრემისტებმა. რით აუნაზღაურეს ბოლშევიკმა ბელადებმა ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძე-კიროვებმა ოს ბანდიტებს ეს „თავდადება"? რა ჰქონდა გასამრჯელოდ, რა უნდა მიეცა დამშეული რუსეთის (სადაც მაშინ, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ვიცით, შიმშილი, ქურდობა, მოროდიორობა და კაციჭამიობა მძვინვარებდა !) ბოლშევიკურ ხელისუფლებას, როცა საკუთარი ჯარიც კი ვერ დაეპურებინა? (სწორედ ამიტომაც დაიწყეს მაშინ დაპყრობითი ომები და, სამწუხაროდ, ახლაც ამ საშიშროების წინაშე დგანან როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნები, ისე ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოები!)

და აი, ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულ შიდა ქართლში, ავტონომიური ოლქი „გამოჩორკნეს". ოს ხიზნებს მანამდე თუ ლიახვის სათავეების „ათვისება" მოესწროთ, ახლა მღვრიე ტალღასავით დაეშვნენ ბარისაკენ. სხვის მიწა-წყალზე შექმნილ „ოსურ სახელმწიფოს" დედაქალაქიც ხომ სჭირდებოდა და ბოლშევიკურმა რუსეთმა რენეგატი ქართველების წაყრუებითა თუ აშკარა ხელშეწყობით ასეთ „დედაქალაქად" ცხინვალი მიართვა, სადაც მანამდე სულ სამი ოსური ოჯახი თუ ცხოვრობდა ნათქვამის დასადასტურებლად უამრავი საბუთი არსებობს, მათ შორის რუსულ ენაზე შედგენილი მაშინდელი საკომლო დავთრებიც!) ძირძველი ქართული ქალაქი ამ დღიდან მოყოლებული მტრების ბუნაგად და ჩვენი მიწა-წყლის დამყოფ-დამქუცმაცებელთა მთავარ საყრდენად იქცა. ბოლშევიკები, რომლებიც უშუალო მემკვიდრეები იყვნენ რუსეთის თვითმპყრობელობისა, უფრო გეგმაზომიერად და „დახვეწილად" შეუდგნენ ქართული მიწა-წყლიდან ქართველებისა და ყოველივე ქართულის ამოძირკვას. ჯერ იყო და მთელი სისასტიკით შეუტიეს ქართველ თავად-აზნაურებსა და ქართულ ეკლესიას. გავიხსენოთ სამღვდელოთა მასობრივი დევნა-შევიწროება, შორაპნის გზაზე მატარებლის ვაგონებში ორი ათასამდე თავად-აზნაურის მხეცურად ამოჟლეტა, ისიც გავიხსენოთ, კახეთში დღისით-მზისით როგორ ჩააქოლინეს პირსისხლიანმა ორახელაშვილებმა და მათმა დამქაშებმა ღვინით გალეშილ ბრბოს უდანაშაულო თავადიშვილები... ამ სამარცხვინო ფაქტებზე ბევრი დაწერილა და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

მარქსისტული მოძღვრებით გონებადაბინდულმა ქართველმა ბოლშევიკ— რენეგატებმა ლამის მთლიანად გაანადგურეს ქართული ეროვნული ძალები, მისი გონი და ენერგია. პატრიოტთა ნაწილმა ემიგრაციაში წასვლით გადაირჩინა თავი, აქ დარჩენილთა ერთი ნაწილი ან დახვრიტეს, ანდა შორეულ აღმოსავლეთში უკრეს თავი. ვინც ამ რეპრესიებს გადაურჩა, პირში წყალი ჩააგუბებინეს და ლამის ულიმღამო აჩრდილებად აქციეს.

გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე საშინელი წყვდიადი ჩამოწვა მრავალჭირნახულ საქართველოში. ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორც ცენტრში ისე პერიფერიებში, მოკალათდნენ ავანტურისტები და კარიერისტები, მარქსისტული მოძღვრებით დაბანგული გაუნათლებელი ადამიანები, რომლებიც ცრუ ინტერნაციონალისტური მიზნების განსახორციელებლად ყოველივე ეროვნულს ძირშივე სპობდნენ. სწორედ მათი გონებაშეზღუდულობითა და კარიერისტული მიდრეკილებებით ისარგებლეს ხიზანმა ექსტრემისტებმა და როცა ქართველი ბოლშევიკები თანამდებობისათვის ერთმანეთს არ ინდობდნენ, აბეზღებდნენ, აჭერინებდნენ და ახოცინებდნენ, გუშინდელი ხიზნები ქართულ მიწას მისხალ-მისხალ იტაცებდნენ. ოს ექსტრემისტებს საყრდენი რომ გაემაგრებინათ, ჩრდილოეთიდან ნელ-ნელა გადმოჰყავდათ თანატომელები და ქართულ სოფლებს იკავებდნენ. თანდათან ასე მრავლდებოდნენ, ღონიერდებოდნენ და ურცხვად მძლავრობდნენ ქართველებზე, აშკარად ავიწროებდნენ და აიძულებდნენ, მამა-პაპათა ადგილი მიეტოვებინათ. ქართული ბოლშევიკური მთავრობის წაყრუებითა და თვალის დახუჭვით. ქართველი მოსახლეობა თავის მიწა-წყალზე ასე აქციეს ხიზნებად. ახლა მწარედ როგორ არ გაგახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები"! სწორედ ამ სიმართლის თქმისათვის აცვეს დიდი მწერალი ჯვარს გონებანამცეცა და ტვინნაღრძობმა ვაითანამემამულეებმა. ბევრი, ძალიან ბევრი რამ მიგვანიშნა დიდმა მამულიშვილმა, მაგრამ ვინ იყო გამგონი. მამულის სადარაჯოზე ვინც უნდა მდგარიყო, ვისაც მისხალ-მისხალ უნდა დაეცვა ჩვენი მიწა-წყალი, მან დაიკავა მტრის პოზიცია, სწორედ მათი უშუალო მხარდაჭერით ფუძნდებოდა ჩამოთესლილი ხიზანი ჩვენი წინაპრების წმინდა სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე.

კოლექტიურად რომ ეძარცვათ ხალხი, ბოლშევიკებმა კოლმეურნეობა გამოიგონეს. ამ კამპანიამ საშინელი რეპრესიები გამოიწვია ლენინ-სტალინურ პოლიტიკას კიდევ ერთი სამარცხვინო კრახი რომ არ განეცადა ...ბოგანოებისგან შევიწროებული არტელები მანამდე ხომ საპნის ბუშტებივით დასკდა!), მოსახლეობა ძალით შერეკეს კოლმეურნეობებში. ვინც შეძლებულად ცხოვრობდა და კოლექტივში არ შედიოდა, „ხალხის მტრებად" გამოაცხადეს, გააკულაკეს და ციმბირისა და ყაზახეთის ტრამალებში უკრეს თავი. განკულაკების „დიდმა ათწლეულმა" ქართული სოფლის მოსახლეობის თითქმის 40 პროცენტი შეიწირა. ოღონდ კოლექტივიზაციას ხელი არ შეშლოდა და მათთვის ( ქართველ ბოლშევიკებისათვის) სულ ერთი იყო, ვინ ფუძნდებოდა ჩვენს მიწა-წყალზე (ჩვენდა სავალალოდ ამ სენმა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებამდეც კი მოაღწია!). თუ თვალს გადაავლებთ კოლმეურნეობათა ისტორიას, უფრო ხშირად სწორედ ე.წ. ინტერნაციონალური კოლმეურნეობები იყვნენ „მოწინავენი" და მათი თავკაცები კი — სოციალისტური შრომის გმირები (თანაც რამდენიმე გზის!)

ტოპონიმისტები მასალას ძირითადად ხანდაზმული ადამიანებისაგან ვიწერთ. მაგონდება ერთი მოხუცის, ვეტერანი კოლმეურნის ნაამბობი, თუ როგორ გაუჭირდათ კახეთის ერთ-ერთ სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბება. ამ კაცს ჭეელობაში რამდენჯერმე ენახა ფილიპე მახარაძე და ერთი ვრცელი ლექსიც კი მითხრა მასზე თუ იყო შეთხზული, მანამდე არ ვიცოდი. და აი, მიამბობს ეს მოხუცი: „ფილიპე მახარაძე ძალიან დაგვეხმარა კოლეურნეობის შექმნაში, თავად გვესტუმრა სოფელში. ნახა ჩვენი გაჭირვება, მიწის ნაკლებობას განვიცდით; მოგვიწოდა თავგამოდებით გვებრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს გვიშლიდა. ვინ გიშლიდათ ხელს?— ადგილობრივი კულაკები. იარაღი დაგვირიგეს... — იარაღი ვილას დაგირიგეს? — ჩვენ, ღარიბ გლეხობასა და ჩამოსახლებულ ლეკებს. არ იკითხავთ, ვის წინააღმდეგ შეაიარაღეს ეს ინტერნაციონალური ბრიგადები? ადგილობრივი კახელი შეძლებული გლეხების წინააღმდეგ, ვისაც თავისი მამა-პაპის მონაპოვარი არ ეთმობოდა!

რატომ გიამბეთ ყოველივე ეს? კიდევ ერთხელ რომ შემეხსენებინა თქვენთვის თუ როგორ გაუჭირდა ქართველ პატიოსან ადამიანს თავის სამშობლოში ინტერნაციონალისტური და კომუნისტური იდეებით გონებადაბინდული ბოლშევიკ-კომუნისტების მიერ შექმნილ წყვდიადში. „სოციალისტურ საქართველოში" ყველაზე მეტად ქართველს რომ უჭირდა, ეს ყველასათვის ისედაც ცხადია, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან. გახსოვთ, ალბათ, 60—70-იან წლებში გახშირდა გვარების გამოცვლა. გვარის გამოცვლას ოფიციალურად მგონი 10—15 მანეთი სჭირდებოდა. ორმოცდაათ-სამოც მანეთად კი კაცს შეეძლო ჭავჭავაძე ან წერეთელიც გამხდარიყო და თუ ცოტა ფხიანად მოიქცეოდა დადიანობასა და მუხრან— ბატონობასაც გამოჰკრავდა ხელს. ვინ იყო გამკითხავი? ასეთ სამსახურში ხომ უფრო მეტად არაქართველები იყვნენ მოკალათებულნი. ამიტომაც ასე მოგვიმრავლდნენ „ჟღერადი" გვარის მატარებელნი.

საბრალო სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი, გახსოვთ, ალბათ, კაცი, რომელმაც ლამის ათი მილიონი დააგროვა და გვარი კი ვერა და ვერ გამოიცვალა, ჯლანი ვერ ამოაგდო და თავისი გვარი „ჟღერადი" ვერ გახადა. გალატაკებულმა ქართველმა თავადმა რაინდიძემაც კი არ მისცა თავისი გვარი! რისთვის სჭირდებოდა მეჯლანუაშვილს რაინდიძეობა, ალბათ, ყველას კარგად მოგეხსენებათ. ამ სახელოვანი გვარით მაღალ საზოგადოებაში უნდოდა გაძრომა. ის, რაც ვერ შეძლო მილიონერმა სოლომონ ისაკიჩმა, სულ ადვილად მოახერხეს ჩვენი დროის კარიერისტებმა. ... გვარების მაძიებლები უფრო ე.წ. „ელიტარულ საზოგადოებაში" დამკვიდრებისათვის იბრძვიან. „დაბალ ფენებში" კი სულ სხვა ვითარება შეიმჩნევა მახსოვს ასეთი ფაქტიც, ერთ სხვა ეროვნების კაცს ქართველი ცოლი და ოთხი შვილი ჰყავდა. ჩემთან საუბარში ერთმა მისმა მეზობელმა უთხრა: „მამედ, შე კაი კაცო, ვილა არ იკეთებს ქართულად გვარს, შენ რაღას უყურებ, ცოლიც ქართველი გყავს, შენი შვილებიც ნახევრად ქართველები არიან, თავად შენც ხომ, კაცი თუ არ გიცნობს, ქართველებისაგან ვერ გამოგარჩევს, გვარს რატომ არ გადაიკეთებ?" პასუხი არ გაინტერესებთ ჭკვიანი მამედასი? „მაიცა, კაცო, შვილები ქართველებად დავწერო და თქვენსავით ხელფეხი შაუკრა? დავაბეჩავო? აი, შენ შაგიძლიან სადმე იჩივლო? ან იჩივლე რა, მე შენ გეტყვი, ვინმე მოგაქცევს ყურადღებას! მე კი, თუ გამიჭირდა ყველგან ვიჩივლებ, რაიკომშიც, აქაურ ცეკაშიცა და მოსკოვშიც. იქ ჩივილი აღარც დამჭირდება, აქვე გამიკეთებენ საქმეს, როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენელს. შენ კი არავინ მოგაქცევს ყურადღებას. არა, ძმაო, ჩემი ჭკუით ეგრე გვირჩევნია!" როგორც იტყვიან, მამედას ნათქვამს კომენტარი აღარ სჭირდება. ისედაც აშკარაა, საქართველოში ყველაზე კარგად არაქართველი გრძნობდა თავს!

მკითხველს, ალბათ ახსოვს, გათავხედებული ჯაყო ჯივაშვილი, რომელმაც აღარაფერი დაუტოვა თეიმურაზ ხევისთავს, ბოლოს მის გვარსაც წაეპოტინა, უნდოდა თავისი შვილი ხევისთავად დაეწერა. არ გეგონოთ, მარგოს სიყვარულით ან თეიმურაზის ძველი ხათრით გაუჩნდა ეს სურვილი. არა, მთის გადაღმიდან გადმოთესლილ ჯაყოებს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდათ სამაჩაბლოში, ყველანაირი ხერხით ცდილობდნენ უცხო მიწაზე დამკვიდრებას.

უგვარო ჯაყოები და მისი ნაშიერები ჯერ ქართული მოდელით გაიკეთებენ გვარს, მერე ქართულ გვარებსაც დაადგამენ თვალს. მთელი ფრონტით შეუტევენ ქართულ [illegible] სამაჩაბლოში და [illegible] თითქმის ყველა გეოგრაფიულ სახელწოდების შეცვლას გადაწყვეტენ. ამ მიზნით შეთითხნიან ხელოვნურ სახელწოდებებს (რაღა თქმა უნდა, ოსურს) და მოსახლეობას დაუგზავნიან. (ამ საკითხზე სხვა წერილში ვისაუბრებთ).

არათუ ჯუჯა ქვეყნებს, დიდ სახელმწიფოებსა და დიდ ერებსაც ძალიან უჭირთ პატარა ქვეყნებისა და პატარა ერების ჩაყლაპვა-მონელება, რაღა თქმა უნდა, ოსებსაც უფრო ძალიან გაუჭირდებოდათ ქართველებთან აშკარა ჭიდილი. (... რომ რუსულმა ბიუროკრატიამ ანკესზე წამოაგო ოსი ექსტრემისტები და მთელ ხალხს უფსკრულისაკენ უბიძგა. ამას კარგად ხედავენ ოსი პატრიოტები!) ამიტომ დიდი ხნის მანძილზე შენიღბულად მოქმედებდნენ. სამაჩაბლოს ქართველობას ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ აყრილიყვნენ და გადასახლებულიყვნენ, იქ დარჩენილებს კი ჯერ ჩასჩიჩინებდნენ, შემდეგ აშკარა აგიტაციას უწევდნენ, რომ თქვენც ოსები ხართო. ეს მიწა-წყალი ოდითგანვე ჩვენი იყო, ქართველმა თავადებმა წაგვართვეს და თქვენ კი გაგაქართველესო. სამოცდაათწლიანმა ამ აშკარა პროპაგანდამ, როცა ხელის შემშლელი არავინ იყო, როცა ქართველი კომუნისტი ხელმძღვანელები, ნაციონალისტობა არ დაგვაბრალონო, პირში წყალს იგუბებდნენ, ჩვენდა სამწუხაროდ, სავალალო ნაყოფი გამოიღო, სამაჩაბლოში ბევრი ქართველის გაოსება მოახერხეს, რადგან ზოგიერთ სოფელში, სადაც გადამთიელებმა მყარად მოიკიდეს ფეხი, ისე შეავიწროვეს ძირძველი მოსახლეობა, რომ იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ მამა-პაპათა სამყოფელი. გუშინდელმა ხიზნებმა მკვიდრი მოსახლეობა აქცია ხიზნად და ლტოლვილად. ვინც ვერ შეელია მამაპაპეულ ადგილს, მათი ასიმილირება დაიწყეს. (იმას, რასაც ჩვენ საქვეყნოდ გვწამებენ თვითონ აკეთებენ აშკარად!) ამის დასტურად ისიც კმარა, რომ სამაჩაბლოს ბევრ სოფელში, სადაც ახლა „ოსები" ცხოვრობენ, ჯერ კიდევ კარგად იციან ქართული, ადათწესებიცა და ზნე-ჩვეულებაც ქართული აქვთ, ანთროპოლოგიურადაც ქართველები არიან და, რაც ჯერ კიდევ თვალში საცემია, მათ მამა-პაპათა ქართველობაზე ძველი საფლავის ქვებიც ღაღადებენ. ოსი ექსტრემისტების პროპაგანდისტულმა მანქანამ სიცრუეს, აშკარა ტყუილს თანდათან აადგმევინა ფეხი; ქართველს თავის სამშობლოში დაავიწყა ქართული ენა, დაავიწყა, რომ სისხლით ქართველია. ბევრს უკვე გვარიც გადაუკეთეს რუსულ ყაიდაზე (თვითონ რომ ოსური ჰგონიათ!) შვილი, ძე, ური... დაბოლოების ნაცვლად ოვ, ევ, მიუწერეს. სამაჩაბლოში თუ რომელიმე ქართველმა ოსური ენა იცის, აუცილებლად ოსად დაწერენ!

ეს ნათქვამი მკითხველს აბსურდად რომ არ მოეჩვენოს, ოს მკვლევარს გიგო მამითს დავიმოწმებ: „არიან გაოსებული ქართველებიც , ზნაურის რაიონში ცხოვრობენ ოდიკაძეები, პაპაშვილები, მათ წმინდად იციან ოსური ენა, მაგრამ მაინც ქართველებად ეწერებიან. ლენინგორის სოფელ დორეულთკარში ცხოვრობენ ქართველები, თუმცა მათი სალაპარაკო ენა ოსურია. ისინი მაინც ქართველებად ეწერებიან,. ქოლოთელმა ჩხითაურებმა ქართული კარგად აღარ იციან. მკითხველს ვთხოვ, კიდევ ერთხელ გულდასმით წაიკითხოს აქ მოტანილი ციტატა და ჩაუკვირდეს საკითხს.

**გაგრძელება შე-7 გვ.**

# მართლაცდა „რა ჰქვია ამას?!“

მიხეილ მახარაძე

კვლავ მომიწევს საყოველთაოდ მიღებული აზრის განმეორება: რელიგიას მარტო რწმენის ფუნქცია არ გააჩნია და სამწუხაროდ არც თუ იშვიათად იგი პოლიტიკისა და იდეოლოგიის სამსახურშიცაა ჩაყენებული. ქართული სინამდვილიდან და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს, თუნდაც მისი ერთი მხარის საერო ცხოვრებაში ისლამის ჩართვა.

ეს, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ გულისხმობს რაღაცნაირი ფორმით მუსლიმანური აღმსარებლობის შეზღუდვას ან მორწმუნე მუსლიმანის შევიწროებას. ჩვენი ღრმა რწმენით ბევრს ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული უახლოეს მომავალში მოსალოდნელი გართულებები და მუსლიმანობის ფაქტორს აჭარაში საეჭვო მიზნებისა და გარკვეული ძალების დასაგროვებლად იყენებს, რითაც ძალიან სახიფათო თამაშს ეწევა. აი ამის რამდენიმე მაგალითი.

გაზეთ „მაჭახელაში“ (№ 19, დეკემბერი, 1992) რუბრიკით



მეჩეთი თურქეთში

— რა ჰქვია ამას? გამოქვეყნდა ასეთი დოკუმენტი:

„22 ივლისი, 1992 წ. თურქეთის რელიგიის საგარეო საქმეთა ტექნიკური დარგის უფროსს

ბატონ რეჯებ ქაიას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობა „აჭარა“ უმორჩილესად გთხოვთ დაგვეხმაროთ და სამეცენატოდ გვიბოძოთ ან რამენაირად და შეძლებისდაგვარად საბჭოთა ფულზე შეგვაძენინოთ შემდეგი სახის ჩვენთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარები, აპარატურა და ბეჭდური ლიტერატურა:

1. წიგნის საბეჭდი მანქანა (მასუქუმატინესი);

2. წიგნის საბეჭდი კომპიუტერი (ბელგისაიარი);

3. ქსეროქსი (ფოტოკოპი მანინესი);

4. ლათინური შრიფტით საბეჭდი მანქანა (დაქთილი);

5. ფაქსი;

6. ტელექსი;

7. ვიდეო კამერა;

8. ვიდეო პრისტავკა

9. ისლამის ენციკლოპედია 3 კომპლექტი;

10. მუსლიმანური ვიდეოკასეტები საჭირო ჩანაწერებითურთ.

ამ თხოვნის შესრულების სანაცვლოდ სახელმწიფო გამომცემლობა „აჭარა“ აღვითქვამთ და პირობას გაძლევთ, რომ ამავე აპარატით მოვემსახურებით უფასოდ და უსასყიდლოდ მთლიანად აჭარის სამუსლიმანო საზოგადოებას, ქ. ბათუმის ჯამეს, ჯამესთან ახლად შექმნილ მედრესეს და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე (რომელი ეროვნული ინტერესებიდან?! — მ.მ.) საჭირო დახმარებას გავუწევთ უფასო და უსასყიდლოდ აჭარის ტერიტორიაზე განლაგებულ სამლოცველოებს, მუსლიმანური საზოგადოების წევრებს და მუსლიმანურ მრევლს (ჯემაღეთს).

გამომცემლობა „აჭარა“ და აჭარის სამუსლიმანო საზოგადოება უვლა ზემოთ ჩამოთვლილი მანქანა-დანადგარების, აპარატურისა და ბეჭდური ლიტერატურის ჩამოტანას, პატრონობას და კუთვნილებას ანდობს გამომცემლობის დირექტორს ემენ ავთანდილის ძე დავითაძეს.

მისამართი: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. 72, ბინა 30; ტელ: 2—22—95.

იმედი გვაქვს თქვენი გულმოწყალებისა და დახმარებისა.

სახელმწიფო გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორი ე. დავითაძე“

„მაჭახელას“ რედაქცია ამ დოკუმენტის კომენტარისაგან თავს იკავებს და სრულიად მართებულადაც. აქ ხომ კომენტარის გარეშეც ცხადია ყველაფერი. თუმცა ჩვენ ცოტა ქვემოთ მცირეოდენ კომენტარს მაინც ვაპირებთ.

ახლა მეორე ფაქტის შესახებ. ამ ბოლო ხანებში, ბათუმში თურმე ვრცელდება ასეთი წიგნაკი: „პატარა მუსლიმანის წიგნი“, რომელიც ძვირფას ცარცის ქაღალდზეა დაბეჭდილი და სადაც ფერადი ფოტოებით ნაჩვენებია მოზარდი მუსლიმანის გასავლელი გზა ლოცვის რიტუალისათვის აუცილებელი განბანვით („აბდესი“) დაწყებული, სრულყოფილი ლოცვით დამთავრებული. ფოტოებს თან ერთვის შესაბამისი ახსნა-განმარტებანი და ტექსტები ქართულ და არაბულ ენებზე. წიგნაკის ფურცლებზე კი აწერია: „ეს წიგნი უცხოეთში მცხოვრები მუსლიმანებისათვის შეადგინეს ისმაილ-ყარა შავიშვილმა და ემენ დავითაძემ“.

რახან წიგნაკის თავფურცელზე ასეთი წარწერა ყოფილა, საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ წიგნაკის შემადგენელნი ამ გზით უცხოეთში (უფრო ზუსტად თურქეთში) მცხოვრებ თანამემამულეებში ქართული ენის ცოდნის განმტკიცებას ცდილობენ. არა ბატონებო! ეს წიგნაკი ჩვენი მუსლიმანებისათვისაა გათვალისწინებული და ეს ცხადი უნდა იყოს შემდეგი გარემოებებიდან: ჯერერთი; თურქეთის ქართველს არაფერში არ სჭირდება ამგვარი წიგნაკი მუსლიმანური რელიგიის ლოცვებისა და რიტუალების შესასწავლად და დასაუფლებლად;

მეორე: წიგნაკის კონსპირაციული გამოცემაც (არ ჩანს სად და ვის მიერაა გამოცემული) ამას ადასტურებს და სულაც არ უნდა იყოს ეს გათვლილი იმაზე, რომ მეზობელი ქვეყნის შესაბამის სამსახურებს ეს მოვლენა გამოეპარებოდათ, მითუმეტეს — წიგნაკის შემდგენელთაგან ერთი თურქეთის მოქალაქეა;

მესამე: ბ-ნ ისმაილ ქაისადმი წარგზავნილი დოკუმენტი უეჭველ წინაპირობად გვესახება ამგვარი წიგნაკის შესადგენად. აქ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოთ არც იმ გარემოებამ, რომ შემდგენელთაგან ერთი თურქეთის ქართველია. ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ რამდენიმე თვეა აჭარაში მუსლიმანი „მისიონერები“ თურქეთიდან საეჭვო პროპაგანდას ეწევიან და ზოგიერთი მათგანისათვის ამაში სულაც არ შეუშლია ხელი მის ქართულ წარმომავლობას.

როგორც ვნახეთ ორივე დოკუმენტში (მიმართვა და „პატარა მუსლიმანის წიგნი“) ფიგურირებს ქართველი მწერლის, არაერთი პატრიოტული ლექსის, პოემისა და პუბლიცისტური ნარკვევის ავტორის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატის ემენ დავითაძის სახელი.

ე. დავითაძე, ავტორია მშვენიერი წიგნისა — „სოფლის აღმაშენებელი“, რომლის ერთი ნაწილისათვის მას აღნიშნული პრემია მიენიჭა,. ამ წიგნში მხატვრულ სახეებშია ამეტყველებული აჭარის წარსული და აწმყო. ამ წიგნის ყოველ გვერდზე, ყოველ აბზაცსა და ყოველ სტრიქონში პირდაპირ თუ შეფარვით იკითხება ამ კუთხის მკვიდრთა თავდადება სამშობლოსათვის, ქრისტიანული რწმენისათვის, გადარჩენისათვის და ა.შ. პირადად მე აჭარის თემაზე ამ კუთხით დაწერილ წიგნთა შორის ე. დავითაძის წიგნი საუკეთესოდ მიმაჩნია. ყოველივე ამის შემდეგ გაოცებას და გაკვირვებას იწვევს ის, თუ რამ აიძულა ან რა აუცილებლობით იყო განპირობებული ასეთი წიგნის ავტორს თურქეთის მხარისათვის მიმართულ, ამგვარ საეჭვო და სამოწყალო მიმართვაზე მოეწერა ხელი ან ასეთი, ჩვენთვის საზიანო წიგნაკის შედგენაში მიეღო მონაწილეობა. ყველაფერი ეს ჩემი ახლო ნაცნობისათვის ბ-ნ ემენისათვის შემეძლო პირადად მეკითხა, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით საქმე ისე შორს მიდის, რომ მისი განსჯა პირადი ურთიერთობის დონეზე ვეღარ გადაწყდება. ამიტომაც უფრო მართებული იქნება, რომ ამის თაობაზე ქართველ მკითხველს თვით ე. დავითაძემ მიაწოდოს ინფორმაცია.

ახლა აღნიშნული ტენდენციის გამოვლენაა მესამე ფაქტიც. კარგა ხანია მითქმა-მოთქმაა, რომ აჭარიდან 20-მდე ახალგაზრდა გაიგზავნა თურქეთში სასულიერო განათლების მისაღებად (ამის შესახებ იხ. ალი ალთუნის წერილი — „როგორ უნდა განვითარდეს ურთიერთობები“, „საქართველოს რესპუბლიკა“, (30. 07.1992). ამის თაობაზე გვიამბო ცნობილმა ქართველმა მწერალმა ალექსანდრე ჩხაიძემ, რომელიც ნოემბრის თვეში დაბრუნდა თურქეთიდან, სადაც იგი იმყოფებოდა თავისი მშვენიერი პუბლიცისტური ნაწარმოების „ჩვენებურების“ მიხედვით კინოფილმის გადაღებასთან დაკავშირებით. ბ-ნი ალექსანდრე მალე თვითონ აპირებს დაწვრილებით მოუთხროს ქართველ მკითხველს თუ რა ნახა მან სტამბულის ერთერთი მეჩეთის მედრესეში. ამასთან მან დამრთო ნება, რათა გამომეყენებინა მისი ნაამბობი ჩემს წერილში. ბ-ნი ალექსანდრე ჩხაიძეს იქ უნახავს 28 ქართველი ახალგაზრდა (ძირითადად ზემო აჭარიდან), რომლებიც ეუფლებიან მუსლიმანურ სასულიერო განათლებას. იქ ისინი კარგ პირობებში ცხოვრობენ, ოთხი ქართველი შეამხანაგებული ჰყავთ ოთხ თურქთან... ალბათ ესეც უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ჩვენს ახალგაზრდებში მშობლიური ენის დავიწყების ტენდენცია შეიმჩნევა, რაზედაც სამართლიანადაა შეშფოთებული ბ-ნი ალექ-

გაგრძელება მე-4 გვ.



მეჩეთი ბათუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

სანდრე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე წელიწადში უკან დაბრუნებული ეს ახალგაზრდები უცხო და ჩვენთვის საზიანო იდეოლოგიის პროპაგანდას დაიწყებენ, მაშინ უფრო ცხადი გახდება ცნობილი მწერლის შეშფოთების საფუძველი. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 1918—1919 წლებში, მესხეთში ქრისტიანი ქართველების მასიურ ჟლეტას სწორედ განათლებამიღებული მაჰმადიანი ქართველები ხელმძღვანელობდნენ.

კიდევ ერთი ფაქტი. გასულ ზაფხულს იყო მოთხოვნები, რათა ბათუმის ჯამესათვის მიეშენებინათ მინარეთი; რამდენიმე

ტომ პასიურობს ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი? და ა.შ. რა შეუძლიათ ამ ძალებს? ის, რომ შექმნან საზოგადოებრივი აზრი და მეტი არაფერი (თუმცა არც ეს უნდა იყოს პატარა საქმე). ვერც აჭარის ხელისუფლებას მოსთხოვ მაინცა დამაინც ამისათვის პასუხს, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი სიმართლეა ის ფაქტი, რომ თურქეთი სასულიერო განათლების მისაღებად ახალგაზრდები აჭარის მინისტრთა საბჭომ გააგზავნა (ეს ცნობა ჩვენთვის შეუმოწმებელია). სხვა შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან რელიგიის საქმეებში ჩარევა რელიგიისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების რესტავრაცია იქნებოდა.

ტომაც, შესაფერის სიტუაციაში რელიგიურ ნიადაგზე ვითარების გამწვავება მესამე ძალის მიერ ყველაზე მეტად ამ კუთხითაა მოსალოდნელი. ამას კი უეჭველად შეუწყობს ხელს ის ფაქტორები, რომლითაც ადგილი აქვთ დღეს საქართველოში აჭარის მაგალითზე. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სულ რაღაც ერთი თვეა, რაც მწყობრში ჩადგა ბათუმის მეჩეთის მინარეთი და უკვე ყრიან პროვოკაციულ ხმებს: თუკი ვინმე მინარეთს ააფეთქებს, მაშინ ჩვენც ეკლესიას ავაფეთქებთ! მოკლედ, გვინდა თუ არ გვინდა, ნაღმი უკვე ჩადებულია და ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის გასაუვნებლად.

# მართლაცდა „რა ჰქვია ამას?!“

## მიხეილ მახარაძე

ბინათ მინარეთი; რამდენიმე თვეში, ერთობ სწრაფ ტემპში აშენებული იქნა 32 მეტრის სიმაღლის მინარეთი (ამასთან, როგორც ამბობენ არა საკუთარი ძალებითა და არა საკუთარი მასალით), რომელიც თავისი სიდიდით უფრო ცნობილი მუსლიმანური ცენტრების მისგითებს შეეფერება. ახლა ბათუმში ჩასულ სტუმარს სიურპრიზით ეგებება წყნარი და სიმშვიდით ცნობილი კოპწია ქალაქი: მუეძინი დღეში რამდენიმეჯერ სალოცავად უხმობს მორწმუნეებს მინარეთზე დადგმული გამაძლიერებლებით ისე, რომ მისი ხმა ისმის ერთ დიდ, ზღვისპირა ნაწილში.

იქნებ არც ისე საგანგაშოა ჩვენს მიერ განხილული ფაქტები. მითუმეტეს, რომ ჩვენ დემოკრატიული ქვეყნის აშენებას ვაპირებთ და ყველა ჭეშმარიტ დემოკრატიულ ქვეყანაში სინდისის რწმენის თავისუფლებაა. მაგრამ რახან, ყველაფერი ის, რაზედაც გვქონდა საუბარი გაკეთდა ქართველი საზოგადოებისაგან მალულად და არც ერთი ამ ფაქტის შესახებ ოფიციალურად არც არაფერი თქმულა და არც არაფერი დაწერილა, აქედან დასკვნა ცალსახაა: როგორც თურქეთში მუსლიმანური სასულიერო განათლების მისაღებად ქართველი ახალგაზრდების გაგზავნა, ისე ბათუმში განსაკუთრებული სიდიდის მინარეთის აშენება, „პატარა მუსლიმანის წიგნის“ გამოცემა და თურქეთის რელიგიის საგარეო საქმეთა ტექნიკური დარგის უფროსისადმი მიმართვა, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას თუ კონკრეტულად რომელ სამართლებრივ და მორალურ კანონებს ეწინააღმდეგება ეს ქმედებები.

აქ შეიძლება რიტორიკულად ვიკითხოთ: სად არის აჭარის ინტელიგენცია? რას აკეთებს საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება? რა-

ბულების რესტავრაცია იქნებოდა.

მაშინ სადაა გამოსავალი? გამოსავალი ჩვენ იმაში გვესახება, რომ შემუშავებულ უნდა იქნას კანონი რელიგიის შესახებ. ამ საქმეში აჭარის უზენაესი საბჭოს იმედზე ვერ დავრჩებით, რადგანაც იგი, როგორც საკანონმდებლო ორგანო ფაქტობრივად აღარ არსებობს და ყველა მოანაცემებით მის ხელმძღვანელობას ეროვნული პოზიციებიდან ეს პრობლემები არც აწუხებს და არც აინტერესებს (ან უბრალოდ არ ესმის და ვერც გრძნობს!?) და ბუნებრივია, არც მის გადაწყვეტაზე იზრუნებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში, როგორც მრავალეროვან ქვეყანაში, ქრისტიანობის გარდა, რომ არაფერი ვთქვათ თვით ქრისტიანობის შიგნით არსებულ მიმართულებებსა და უამრავ სექტებზე, გავრცელებულია სხვა სარწმუნოებებიც (ისლამი, იუდაიზმი), მაშინ ცხადი უნდა იყოს შემდეგი: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში რელიგიის საკითხებზე უნდა მუშაობდეს კომისია თუ არა ქვეკომისია მაინც. ამ საკითხის დროულად მოგვარება აუცილებელია თუნდაც იმისათვის, რომ მესამე ძალამ ახლო მომავალში, ვითარების გამწვავების მიზნით, მოსალოდნელია, აამოქმედოს რელიგიური ფაქტორი. ამ მოვლენას მომზადებულნი თუ არ შევხვდით, საქართველოს ლიბანიზაციის სერიოზული საფრთხე დაემუქრება.

ისიც დაუფარავად უნდა ითქვას, რომ, როცა ჩვენ საქართველოში რელიგიური პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზე ვმსჯელობთ, უპირველესად მხედველობაში გვაქვს მუსლიმანური რელიგია. ეს იმის გამო, რომ საქართველო ქრისტიანული კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა და ამასთან ქართველთა ერთი დიდი ნაწილი ისლამის მიმდევარია. სწორედ ამი-

საქართველოში რელიგიის შესახებ კანონის შემოღებას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამაში დავრწმუნდი, როცა 1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შევხვდი ხულოს რაიონის მნიშვნელოვანი ჯამეების მესვეურებსა და მრევლს („ჯემაღეთი“). მათგანი ბევრი პარლამენტისაგან მოელოდა და მოელის პასუხს იმაზე, თუ რის უფლება აქვთ მათ და რის არა (რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე). ამ შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ნამდვილი მორწმუნე მუსლიმანი ქართველი თავისი სამშობლოს ერთგულია და დიდი სურვილი აქვს მონაწილეობდეს მის აღმშენებლობაში. წყალს კი ძირითადად ამღვრევენ ჯამესთან მიტმასნილი საეჭვო წარსულის პირები და ისინიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ხმალშემართული ებრძოდნენ ყოველგვარ რელიგიურს. სწორედ ამიტომაც საჭიროა ჩვენი პოზიციის გამოკვეთა. სხვა შემთხვევაში, თუკი ისლამის მომავალი საქართველოში შემთხვევითი პირების ხელში ჩავარდა და სხვა ქვეყნის იდეოლოგიის კარნახით წარიმართა, მაშინ გართულებებს თავიდან ვერ ავიცილებთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველ საზოგადოებას, ქართველ ინტელიგენციას მართებს გამოხატოს თავისი პრინციპული პოზიცია წერილში აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, დაარქვას ყველაფერს თავისი სახელი და ამის საფუძველზე რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთად შეიმუშაოს კონცეფცია ამ პროცესების მართვისათვის. ბოლოს და ბოლოს კიდევ რამდენი რამე უნდა გადაგვხდეს რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ წაყრუების, მიჩუმათებისა და სიმართლის თქმაზე თავის შეკავების პოლიტიკას საბოლოოდ მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია.

# კრიტიკა

## გაზეთ «საქართველოს რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

**თქვენი გაზეთის ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ჩემ წერილზე ოთარ მგელაძეს მიერ ხელმოწერილი „გამოხმაურება“—“ნახერხით სავსე ჭინჭის ბურთი“.**

**მკითხველამდე სამშაბათს მისული ჩემი წერილის საპასუხო „რეპლიკა“ საოცარ ოპერატიულობით ხუთშაბათსვე ჩაუშვით ნომერში. ამან მაფიქრებინა, რომ იგი თქვენთივს ნაცნობი ავტორის ნალვაწი უნდა ყოფილიყო და გთხოვეთ კიდეც შუამდგომლობა ოპონენტთან პირადი შეხვედრის თაობაზე.**

**ბატონო ნოდარ! თავად უწყით, თუ რატომ გაჭირდა ამ შეხვედრის მოწყობა. თქვენგანვე გავიგე ოთარ მგელაძე თქვენი მუშაკის ფსევდონიმი რომ ყოფილა. შეგეძლოთ არც გეთქვათ. ამიტომ გულახდილობისათვის მადლობის მეტი რა მეთქმის და არც უხერხულ მდგომარეობაში მინდა ჩაგაყენოთ. თუმცა ამ საპასუხო წერილის გამოქვეყნებას მაინც გთხოვთ. ჩემი პასუხის ადრესატია პასუხს არიდებული ამ თავდასხმის ყველა მონაწილე.**

ერთ რამეში უდავოდ ვეთანხმები დამკვეთ-შემსრულებელ ტანდემს ჩემი წერილის —“ეკონომიკური რეფორმის შუქ-ჩრდილები“ გამოქვეყნება გაზეთ „თბილისში“ მართლაც უპრეცედენტოა მის გარშემო ატეხილი პერიპეტიებით.

საქმის არსი კი ასეთია. წერილი გაზეთის რედაქტორს ბატონ გია ზუბაშვილს ვაახლე და აღმითქვა, რომ არჩევნებამდე გამოქვეყნდება. 8 ოქტომბერს შეხვედრისას მომიბოდიშა-ღლევანდელი ნომერი გადატვირთუ-

ახალი ვარიანტი მომეტანოს. დაზუსტდა თარიღები და ყოველივე ბატონ რომან გოცირიძეს წინააღმდეგ გამიზნულ ბრძოლად შეფასდა თავისი ორი ეტაპით-არჩევნებამდე და პარლამენტში ვიცე-პრემიერად დამტკიცების წინ.

ყოველივე ამას კი „ხელი შეუწყო“ „თბილისში“ სტატიაზე გაკეთებულმა აბსურდულმა მინაწერმა.—“ავტორის მოთხოვნით, კორექტურული უზუსტობების გამო, წერილი იბეჭდება ხელმეორედ“.

მინაწერის ავტორი რბი-

## მგლის ქურქს ამოფარებული ბაჭია

ლია, ხოლო წინასაარჩევნო ნომერი ბლოკ „11 ოქტომბერმა“ სრულად შეისყიდაო. ერთმანეთს ახალი დაპირებით დავშორდით. მასალა მართლაც გამოაქვეყნა 12 ოქტომბრის ნომერში, მხოლოდ რედაქციის მიერ „გადამუშავებული“ ვარიანტით. ასოციაციების არგუმენტებით მოდავე ოპონენტს კი, ვფიქრობ, სწორედ ასოციაციამ უმტყუნა, თორემ როგორ მოახერხებდა რედაქტორის მაკრატელით შეკრეჭილი და სრული ვარიანტების შედარებას, თუ 11 ოქტომბერს გაზეთი საერთოდ არ გამოსულა?!

მეორე შეხვედრისას, როცა ბატონ გიას ხელნაწერზე აღნიშნულ შემოკლებებზე მივანიშნე — კვლავაც შემპირდა მობოდიშებით, სრულად დავბეჭდავო. და ისევ გაუჭირდა — სრული ვარიანტი მხოლოდ ერთი თვის თავზე გამოაქვეყნა.

როგორც ჩანს ვილაცის წინაშე თავის მართლებაც გახდა საჭირო და ამად „ისესხა“ ოპონენტმა ინფორმაცია იმის თაობაზე თითქოს მე რედაქციაში წერილის

ლად რომ ვთქვათ, კორექტული თუ იქნებოდა და 12 გვერდიანი წერილიდან ამოგლეჯილ მესამედზე მეტი მოცულობის მწვავე ფაქტურას და შეფასებებს „კორექტორულ უზუსტობებში“ არ გაახვევდა და არც ჩემ ოპონენტს ჩააყენებდა უხერხულ მდგომარეობაში უზუსტო ინფორმაციით. მან კი წერილის შინაარსი არად ილო და მთელი „ქარ-ცეცხლი“ მინაწერის გამო დამატეხა.

ასე გახდა ჩემგან სადავო-ჩემზე შემოსადავებელი. თუმცა, თავად ოპონენტიც აღიარებს — „კორექტურულ უზუსტობაში იგულისხმება ის ორიოდე აბზაცი, რომელიც შემოკლების გამო პირვანდელ ტექსტში ვერ მოხვდათ“. როგორც ხედავთ, ოპონენტი ჩემი წერილის „შემოკლებული“ და ბეჭვდის დეტალებშიც გარკვეულია და ზოგიერთი რამ უნებლიედ თუ წამოსცდება მტკიცებათა უსუსური არგუმენტის სახით. სწორედ ამად მეფიქრება, რომ „შეკრეჭილი“ ვარიანტი, დაგვიანებული

სრული ვარიანტიცა და ანონიმი ოპონენტის თავდადებული მეცადინეობაც ერთი საერთო პროცესის ეპიზოდებია. ამ ურთიერთობაში ყველამ თავისი წილი უნდა ამოიკითხოს, რამეთუ ზნეობრიობაზე შემოდავება მდიდარი ნაირფეროვნებით სწორედ ამ მაგალითებით ხასიათდება.

აი, ასე ვინ ქვევიდან „ერთგულებითა“ და მაამებლობით სცდება, ვინ ზევიდან მითითებებით სცოდავს. შედეგი კი ორივე შემთხვევაში ერთია. და თუ ჩვენ ერთმანეთს არ ვასწავლეთ დემოკრატიის პრინციპების დაცვა, არა მარტო გუშინდელი, დღევანდელი გაკვეთილებიც ცუდ სამსახურს გაგვიწევენ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

ოპონენტის წერილივით წყალნარევი პასუხი რომ არ გამომივიდეს, მხოლოდ ამიტომ შემოკლებულ ოთხგვერდიან „ორიოდე აბზაცში“ განხილული საკითხების ნაწილს მშრალად ჩამოვთვლი. ნამდვილად ღირდა იმაზე დაფიქრება, რომ ე.წ. „თავისუფალმა ვაჭრობამ“ მეტადრე „თავისუფალი სპეკულაცია“ განავითარა; დროებითი მთავრობა ხშირად რომ „შტამპავდა“ მოსახლეობის სპეციალური დაცვის „დამატებით ღონისძიებებს“ — ძირითადის თვეების მანძილზე ხელფასების დროული გაცემის მოუგვარებლად, იქნებოდა ეს „პირველ რიგში“, თუ მეორე რიგში დასაკმაყოფილებელი სპეციალური ჯგუფებისადმი „ზრუნვა“. თუ როგორია დაგვიანებული ხელფასი ან როგორი იქნება ანაბრების ინდექსაციით ე.წ. „გაორმაგებული“ თანხის ნომინალი მიღების მომენტისათვის — ინფლაციის ტემპების გათვალისწინებით. კიდევ მრავალ სხვა საკითხს შევეხე, რომელმაც რედაქციის მიერ შეკრეჭილ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ე.წ. ეკონომიკური რეფორმის სტრატეგიისა და ამდენად ტექნიკის ღრამად გაუაზრებლობის გამო, დროებითი მთავრობის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს უმალ მოჰყვებოდა სერიოზული შესწორება-კორექტირება.

საქმეში ჩახედული ოპონენტი ამ ორი ვარიანტის უბრალო თვალის შევლებითაც მიხვდებოდა, რომ ორი ძირითადი არგუმენტიდან უმთავრესი — რედაქციის — იმთავითვე გამსკდარი საპნის ბუშტია, რომელიც მან, თავის „ასოციაციებზე“ დაყრდნობილი განწყობიდან გამომდინარე, მეტი დამაჯერებლობისათვის, ერთგან საკუთარი აქცენტითაც გაამლიერა — „დაჟინებული მოთხოვნითო“ (თუ ესეც „თბილისის“ რედაქციიდან მოდის, მიკვირს თავადვე რატომ არ გამოიყენეს, მაშინ ხომ უფრო ადვილად „გაიმართლებდნენ“ თავს?!) მეორე არგუმენტზე კი როგორღა შევედავები, თუ ამის უფლება თავად მისმა სიმკაცრემ ამართვა — „ყოფილიაო“ და ხმის ამოღებას როგორღა ბედავსო?!

არადა, იმად გავბედე, ჩემ ოპონენტს სრული ვარიანტი ყურადღებით რომ წაეკითხა, ვფიქრობ, წერის სურვილიც არ გაუჩნდებოდა და ვერც დამაბრალებდა თითქოს მე „ვეგმიური ეკონომიკის (შესაბამისი პოლიტიკური ატრიბუტიკით) აღდგენას“ ვქადაგებდე.

კაცმა რომ თქვას, აქვს რაღაც საერთო ჩემს მიერ იმ წერილში მოხსენიებულ ბატონ რ. გოცირიძის „რეფორმის ანგარიშსა“ და მისი ანონიმი დამცველის წერილს, ჭიქაში სანახევროდ ჩასხმული წყლის შესახებ ბატონ რომანის მიერ მოშველიებული ტესტის — ნახევრად სავსე, თუ ნახევრად ცარიელი ჭიქის აღქმის ლოგიკას რომ ექვემდებარება. მერე რა რომ დასკვნებს მოტანილი ფაქტურა არც კი არგია. მთავარი სწორად ლოგიკაა: ჩემი ვთქვი და ვისაც როგორ უნდა ისე გაიგოსო.

ჰოდა, მეც ბევრი ისეთი რამ გავიგე ჩემ ოპონენტზე, ამ პატარა წერილის მეშვეობით, თავად მას, ალბათ რომ არც დასიზმრებია.

პირველ რიგში ისა, რომა — მას წარმოდგენაც არა ჰქონია გინესის წიგნის შინაარსზე და ახლა მხოლოდ ისღა დარჩენია ამ წიგნის ახალ თავზე განაცხადოს საავტორო-უფლებრივი პრეტენზია.

ჩემი ოპონენტის ენციკლოპედიურ განსწავლულობაზე პრეტენზიები ამით როდი შემოიფარგლება. როგორც ჩანს იგი ლიტერატურათმცოდნეობის სფეროსაც მოიცავს, რამეთუ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც ზედმიწევნით ჩახედულია, როცა ამბობს — „ასეთი პატივი მსოფლიო ლიტერატურის არცერთ კლასიკოსს არ ღირსებიაო“. ოღონდ ის კი ვერ გავიგე, რა მანძილია ამ გენიალური აღმოჩენიდან დამაგვირგვინებელ დასკვნამდე — „აღნიშნულ შემთხვევაში კი მართლაც უპრეცენდენტო ჟურნალისტიკურ რეფორმასთან გვაქვს საქმეო“. რაც იცის, ვერ წაართმევ ჩემ ოპონენტს, ყველაფერი გამოიყენა და ჩემი „დამცირების“ ხარჯზე უამრავი მკითხველი გაანათლა. განა ამად არ ღირდა ჩემი წერილით მისი გაღიზიანება?!

ვერც მის ობიექტურობას მიედავები. რაც მნიშვნელოვანი ამოიკითხა ჩემი წერილიდან ისიც აღნიშნა ხაზგასმით. ლიტერატურულ ჟანრებშიც რომ არის ასე გარკვეული, მიტომაც დამიფასა ნაშრომი. კი ამბობს „იგავის ენით წერსო“. მაინც მადლობელი ვარ, რომანის ენით წერა რომ არ დამაბრალა. ამ იმედითვე გავბედე წინამდებარე პასუხში დეტექტიური ეტიუდის ელემენტების გამოყენებაც.

ეს ყველაფერი კარგი. მაგრამ ზოგიერთი შენიშვნაც უნდა გავბედო. ისე, ამდენი პრეტენზია რომ აქვს ოპონენტს აზრის ბოლო წერტილამდე წაკითხვაც ხომ უნდა იცოდეს? მაგრამ ჩანს მას სერიოზულ შენიშვნებში ჩაწვდომა არც დაუპირებია და მისთვის „მომგებიან“ წვრილმანებზე გადაიტანა ყურადღება. ამიტომაც, მან ადრევე ამოგდებული ერთადერთი ფრაგმენტი შუაში ჩასჭრა და თავის სასარგებლოდ მოირგო. ის აზრი კი ასე მთავრდებოდა: „მოდურმა საბჭოურმა ლოზუნგმა — „იაფად, სწრაფად და კარგად!“ — გვიქნა ეს ცოდვა. ამ ლოზუნგზე „იაფად“ ნაშენებმა კომუნისტურმა საზოგადოებამ „სწრაფად და კარგად“ დაასრულა თავისი საქმე. ჩვენ კი დღესაც იგივე „სავეტსკი ლატკებით“ გვინდა შევკრათ ჩვენი მომავლის ბიუჯეტი“.

ეს შეფასებითი ნაწილი იმად მოჰკვეთა ოპონენტმა ჩემგან თქმულს, თავისი „ლიტერატურული შედევრი“, რომ მოერგო ტექსტზე. ასე მოიპოვა მან მთავარი სათქმელის უფლება: „არ ვიცი ავტორი რას ფიქრობდა, მაგრამ მე ასე გავიგე: „ახალი ცოცხი“ (რომან გოცირიძე) ცუდად გვისო და ძველი ბურთი“ (ოთარ მელქაძე) ხომ არ აჯობებდაო“.

მხატვრული შედარების ეს „უზადო“ მაგალითი კიდევ ერთი მტკიცებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ კარგ მთქმელს ყველა შემთხვევაში კარგი გამგონე უნდა. ბურთი ამ ქვეყნად იმად მოუგონიათ, რომ მ.შ. მოგონილი ოპონენტის დარტყმასაც უნდა გაუძლოს თუ მან თამაშის წესები მაინც იცის. ცოცხისა კი, თუნდაც ახლისა, რომელიც ცუდად გვის, რა მოგახსენოთ? ვფიქრობ არც ბატონი რომანი აპატიებს მის „დამცველს“ პირად შეურაცხყოფას. არც უნდა აპატიოს! მით უფრო, როცა იგი ხელაღებით აცხადებს — „სტატია ძირითადად ბატონ რომან გოცირიძის წინააღმდეგაა მიმართულიო“, ბევრს რასმე აბრალებს მას ვის დასაცავადაც „გარჯილა“. მართალია მე ზოგი რამ შენიშვნა გამოვთქვი ვიცე-პრემიერის მისამართით, მაგრამ არც მიფიქრია, რომ წერილში მოტანილ ყველა საკითხზე მხოლოდ იგია პასუხისმგებელი. როგორც ჩანს არც მას მიუღია ასეთად. მაგრამ ვინაიდან ასეთი სერიოზული ბრალდება გაისმა, იქნებ ჩვენ საერთო ოპონენტს მაინც უპასუხოს ბატონმა რომანმა, თორემ ვინმემ მისი დუმილი თანხმობის ნიშნად არ მიიჩნიოს.

ისე, ამ უცნაურობით აღსავსე პასუხთან დაკავშირებით ერთი რამ ნამდვილად დასაფიქრებელია. თავად ბატონ რომან გოცირიძეა იმის მოწმე, რომ მისი კანდიდატურის პარლამენტის მიერ დამტკიცებისას ჩემი მწვავე გამოსვლის მიუხედავად (სადაც ისიც ვთქვი, რომ რეფორმის პროცესში რეფორმატორებს არ ცვლიან, შესაძლოა რეფორმის კურსი შეიცვალოს — თუ ამის საჭიროება დალადგება), მე მას ხმა მივეცი და ვუსურვე რეალისტურად შეეფასებინა რეფორმის მიმდინარეობა. ჩვენში კი ასე დამკვიდრდა რატომღაც — საკმარისია ვინმეს კრიტიკა შეჰბედო და მაშინვე რასმე დაგწამებენ. ამ ლოგიკისაა ჩემი გაუმჟღავნებელი ოპონენტიც და ახლა ისღა მაფიქრებს მისი ანონიმური პოზიციის დაკავების სურვილი არ დამაბრალოს. როგორც ჩანს, მისგან (მიუხედავად ჩემი ქათინაურისა ობიექტურობის შესახებ) მაინც ყველაფერია მოსალოდნელი, რადგან ქვიშაში თავჩარგული თავს უფლებას აძლევს ზნეობრიობაზე იმსჯელოს.

მე კი, მასთან შეხვედრის მოსურნეს, ისღა დამრჩენია, ახლა კერძო დეტექტივი მოვიშველიო, რომელსაც საწყის მონაცემად მხოლოდ იმას თუ შევთავაზებ, რომ ჩემი ოპონენტი წარმომავლობით იმ კუთხიდანაა, სადაც „ნაჭრის ბურთს“ — „ჭინჭის ბურთი“ ეთქმის და ჩვენს ბავშვობაში წერილსაც ასე ამთავრებდნენ —

მოკითხვით და ნახვის ნატვრით თქვენი პატივისმცემელი

ოთარ მელქაძე

## რედაქტორისაგან:

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ბატონ ოთარ მელქაძის სტატიისადმი მიმართულ რეპლიკას ადრესატი ერთობ გაუგულისებია. ჩვენი წინაპრები იტყოდნენ: „გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღვთისა არა ყვის“. ასე დამართნია ძვირფას მელქაძეს და გასაკვირი არ არის, თუ განრისხებული ცოტა დაფანტულად წერს...

აბობოქრებულმა, რეპლიკის ავტორი რომ ბაჭიად წარმოიდგინა, უნდა გავუგოთ, ბუზად რომ არ მოეჩვენა, ამისათვისაც ვმადლობთ უფალს...

გაზეთ „თბილისისაგან“ „დაზარალებული“, დემოკრატიას რომ გაზეთ „საქართველოს“ ასწავლის, არც ამის გამო შეიძლება გაბუტვა და ოპონენტის განაწყენება...

ბატონი რომან გოცირიძე რომ „შეიამხანაგა“ და ჩვენგან შერისხულად წარმოაჩინა — (თქვენც პირადი შეურაცხყოფა მოგაყენეს და არც უნდა აპატიოთო), ამ „ზნეობრივსა“ და დიდებულ დასკვნაზე, დაე, ვიცე-პრემიერმა იფიქროს. ხმამაღლა თუ არა, თავისთვის მაინც იტყვის:

„შენ ჩემთვის რა გატირებდაო“.

ჩვენ მხოლოდ ერთ „ბუნდოვან“ საკითხს გვინდა მოვფინოთ ნათელი.

ბატონი ოთარ მელქაძე კერძო დეტექტივის გულმოდგინებით ცდილობს დაადგინოს თუ ვინ დაწერა, რატომ დაწერა და ვისი დაკვეთით შექმნა აღნიშნული რეპლიკა.

მე მას კერძო საუბარში განვუცხადე და ახლა საჯაროდ მინდა ვაუწყო, რომ „უოქმო“ საქმეს „საოქმოდ“ ნუ ხდის.

11 ოქტომბრის არჩევნების წინ მან გაზეთ „თბილისში“ მიიტანა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული ჰყავდა ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე. ამ წერილით საარჩევნო კამპანიის დროს რ. გოცირიძისათვის ხელშეწყობა რომ არ ჰქონდა ჩაფიქრებული, ეს უდავოა...

ბატონი რომანი პარლამენტის წევრი გახდა.

დადგა მეორე „არჩევნების“, ანუ მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების ჟამი. პარლამენტის მიერ რ. გოცირიძის კანდიდატურა წამოყენებული იყო ვიცე-პრემიერად.

ამ მოვლენას წინ უსწრებდა გაზეთ „თბილისში“ კიდევ ერთხელ, განმეორებით, ამჯერად უფრო სრული ვარიანტით გამოქვეყნება ო. მელქაძის კრიტიკული სტატიისა.

რა დიალოგი იყო „თბილისის“ რედაქტორს „ბატონ გია ზუბაშვილსა, (რომელსაც პირადად პატივს ვცემ) და ასევე პატივცემულ ო. მელქაძეს შორის, ეს არ არის ჩვენთვის საინტერესო.

ფაქტი ის გახლავთ, რომ ბატონ რომან გოცირიძის გვარი და სახელი ორგზის მოხვდა მისთვის უსიამოვნო კონტექსტში არჩევნების წინ.

რ. გოცირიძე გახლდათ სახალხო ფრონტიდან დასახელებული კანდიდატი, გარდა ამისა, იგი მიგვაჩნია იმ ღირსეულ პიროვნებად, ვინც მხარდაჭერას იმსახურებს, აქედან გამომდინარე ვილაცას უნდა დაეცვა და ამის გაკეთება ჩვენს პატიოსან მოვალეობადაც კი ჩავთვალეთ. ვფიქრობ, ბატონ ოთარს ამ საჯარო განაცხადის შემდეგ დეტექტივი აღარ დასჭირდება.

როგორც მისი ამჟამინდელი წერილიდან ირკვევა, რომან გოცირიძისათვის საპატიო პოსტზე დამტკიცებისას მასაც მიუცია ხმა. ერთი სიტყვით, ამ პოლემიკამ ის შედეგი მინც გამოიღო, რომ ყოფილ ვიცე-პრემიერსა და ახალ ვიცე პრემიერს შორის პირად ურთიერთობაში გულსატკენი არაფერი დარჩება. რაც შეეხება საზოგადო საქმეს, მზად ვართ ბატონ ოთარს მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის საკითხებზე დავუბეჭდოთ წერილები, სადაც რეფორმის თავკაცი გაკრიტიკებული იქნება, ოღონდ არა არჩევნების წინა დღეებში.

მაინცადამაინც არჩევნების წინ საზოგადო საქმეზე თავგამოდებას სხვა სუნი ასდის.

მით უფრო, როცა ერთი წერილი, თუნდაც შევსებული ვარიანტით, ორჯერ იბეჭდება...

ამის არ შემჩნევა ნიბრიყვეა.

ბოდიშს ვუხდით გაგულისებულ ო. მელქაძეს, რომ ბრიყვნი არა ვართ...

20. 12. 92.

**„– გაიყოს კავკასიის ხალხები ორ თანრიგად — მშვიდობიან და მშფოთვარედ. მათგან პირველნი დატოვებულ იქნას საცხოვრებელ ადგილზე, მიეცეს მათ რუსული კანონ-სამართალი, ჩასახლებულ იქნას კავკასიაში რუსი კოლონისტები, რომელთაც გადაეცეს მშფოთვარე მოსახლეობისათვის ჩამორთმეული მიწები. ამით უზრუნველყოფილ იქნება კავკასიის დამშვიდება და ეს მხარე გადაიქცევა მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად"...**

**აი, ასე მსჯელობდა ერთ-ერთი უდიდესი რუსი დემოკრატი, დეკაბრისტთა ლიდერი პესტელი.**

# კიდევ ერთხელ ორი რუსეთის შესახებ

ოთარ ჯანელიძე

ავი ბედისწერა თუ იყო ჩვენი: რამდენიმე საუკუნის წინათ საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. წინაპართა მიერ მხსნელად და მფარველად დაგულებული ჩრდილოელი მეზობელი ცრუ და ფარისეველი აღმოჩნდა. გაცრუვდა იმედი: ერთმორწმუნე რუსეთი ტიპიური დამპყრობელი გამოდგა, — ისეთი, რომლის მსგავსი არა ერთი და ორი უნახავს საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. უზომო მსხვერპლის ფასად, მაგრამ ქართველი ხალხი ძლევდა მომხდურს, თავს აღწევდა მის უღელს და ეროვნულ თავისთავადობას ინარჩუნებდა. ოღონდ ეგ არის, ვერ იქნა და ვერ მოვიშორეთ ეს ჩვენი ძალად მაცხონე. ამ საუკუნის პირველ მეოთხედში ოფიციალურად გამოვეყავით, დავიბრუნეთ მის მიერვე 117 წლის წინ წართმეული სახელმწიფოებრიობა; თავადაც ცნო და აღიარა ჩვენი სუვერენობა, მაგრამ მალე გატეხა პირობა და ძალმომრეობით საქართველო კვლავ თავის გავლენას დაუმორჩილა.

აგერ ახლახანს ისევ მოვიპოვეთ თავისუფლება. ჩვენი დამოუკიდებლობა უკვე ასზე მეტმა სახელმწიფომ ცნო. თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ გვაღიარა და ბევრმა მათგანმა თავის წევრადაც მიგვიღო. საქართველოს ცარგვალზე თითქოს საბოლოოდ გამოიდარა, მაგრამ ქუფრი ღრუბელი ჩრდილოეთისა ისევ ავს გვიქადის. კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დგას ურთიერთობის გარკვევა რუსეთთან, რომელიც სულ უფრო დრამატული ხდება. მოვლენას მეტადრე ამძაფრებს რუსული ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილების ყოფნა საქართველოს მიწა-წყალზე. ეჭვგარეშეა, ამ საკითხის ნორმალურ მოგვარებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის და არა მარტო მისი მომავლისათვის. ამით უნდა აიხსნას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემა დღეს აღელვებს არა მხოლოდ პოლიტიკოსებს, არამედ ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეებსაც. გამოითქმება სხვადასხვა თვალსაზრისი, ზოგჯერ დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებანიც. ბოლო დროს ხშირად მოისმენთ აზრს ორ რუსეთზე, — დემოკრატიულ და რეაქციულ რუსეთზე. ბევრს ისევ სჯერა განახლებული რუსეთისა და იმედს მასზე ამყარებს.

## განახლებული, დემოკრატიული რუსეთი...

ვინც ნაკლებად იცნობს გასული საუკუნის რუსეთისა და საქართველოს ისტორიას, დამეთანხმება, რომ ეს თემა ახალი არ არის. საუბარი დრომოჭმულ, კონსერვატორულსა და ახალ, პროგრესულ რუსეთზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში დეკაბრისტებმა წამოიწყეს. ახლადწარმოშობილი და თითქოს ერთმანეთთან დაპირისპირებული ეს ორი ბანაკი დახატა ა. გრიბოედოვმა თავის პოემაში „ვაი ჭკუისაგან". სკალოზუბების, მოლჩალინების და ფამუსოვების ხავსმოდებულ და რეაქციულ რუსეთს მან ჩაცკის სახით დაუპირისპირა ახალგაზრდა და თავისუფლებისმოყვარე რუსეთი. თუმცა ისიც საოქმელია, რომ ჩაცკისნაირები მთელს რუსეთში თითზე ჩამოსათვლელნი თუ იყვნენ. თავად გრიბოედოვი წერდა: „ჩემს კომედიაში 25 სულელი მოდის ერთ საღად მოაზროვნე ადამიანზეო."

ბ. ბელინსკის სიტყვით, „ვაი ჭკუისაგან" რუსული სინამდვილის პოეტურ გამოსახვას წარმოადგენდა, მაგრამ ნამდვილი, ანუ ოფიციალური რუსეთი ერთი იყო და იმპერიაში მოქცეულ არარუს ხალხებთან დამოკიდებულებაში, — რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, — სახელმწიფოს მეთაურსაც და რიგით ქვეშევრდომსაც ერთი თვალსაზრისი გააჩნდათ.

ლიტერატურულ კრიტიკაში აღიარებულია, რომ ჩაცკი დეკაბრისტებისა და თვით ავტორის შეხედულებებს ამჟღავნებს. ეს შეხედულებანი კი დიდად როდი განსხვავდებოდა იმ ოფიციალური პოლიტიკისაგან, რასაც ცარიზმი ახორციელებდა. თავად განსაჯეთ დეკაბრისტთა აღიარებული ლიდერი პ. პესტელი თავის საპროგრამო დოკუმენტში, — „რუსკაია პრავდა", პირდაპირ მიუთითებდა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი მოსახლეობა საბოლოოდ შერწყმულ უნდა იქნას რუს ხალხთანო. ეხებოდა რა კავკასიის საკითხს, პესტელი წერდა: „გაიყოს კავკასიის ხალხები ორ თანრიგად — მშვიდობიან და მშფოთვარედ. მათგან პირველნი დატოვებულ იქნას საცხოვრებელ ადგილზე. მიეცეს მათ რუსული კანონ-სამართალი. ჩასახლებულ იქნას კავკასიაში რუსი კოლონისტები, რომელთაც გადაეცეს მშფოთვარე მოსახლეობისათვის ჩამორთმეული მიწები. ამით უზრუნველყოფილ იქნება კავკასიის დამშვიდება და ეს მხარე გადაიქცევა მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქადო". დეკაბრისტები, რომლებიც თავად განასახიერებდნენ ახალგაზრდა, პროგრესულ რუსეთს და მზად იყვნენ თავი გაეწირათ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, საქართველოსთან მიმართებაში ბევრად როდი განირჩეოდნენ თვითმპყრობელური მეფის რუსეთისაგან. მათ ნაკლებ აწუხებდათ იმ ხალხთა ეროვნული თავისუფლების ბედი, რომლებიც ძალმომრეობით რუსეთის იმპერიულ „ხალხთა საპყრობილეში" იტანჯებოდნენ.

ავიღოთ ჩერნიშევსკი, — ყველაზე დიდი დემოკრატი და რევოლუციონერი ლენინამდელ რუსეთში. ცოტა ამაგი როდი მიუძღვით მასზე ქართველებს. განა ქართველმა ნიკო ნიკოლაძემ არ გაანთავისუფლებინა ცარიზმის მიერ დასჯილი ჩერნიშევსკი გადასახლებიდან; იგივე ნიკო ნიკოლაძე არ იყო ჩერნიშევსკის ნაშრომთა გამოცემის მოამაგე და რედაქტორი? თუნდაც მადლიერების ნიშნად ხომ მაინც უნდა დასცდენოდა ჩერნიშევსკის მცირე სიტყვა საქართველოს დასაცავად. არა, არ უთქვამს! ამაოდ დაუწყებთ ძებნას ამგვარ რამეს მის ნაწერებში. ჩვენი ეროვნული საწუხარი და გულისტკივილი დემოკრატ ჩერნიშევსკისათვისაც ისეთივე უცხო იყო, როგორც კონსერვატორ რუს მოხელე-ჩინოვნიკთათვის.

მკითხველს უთუოდ ეხსომება, ორ რუსეთზე მიუთითებდა აკაკი წერეთელიც, როდესაც ჟურნალ „კიდეში" გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა: „ჩვენ ... დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და აჯავრებთ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელსაც ეწეოდა ძმობა, თანასწორობა".

ა. გრიბოედოვთან მხატვრულად ასახულ და აკ. წერეთლის პუბლიცისტიკაში წარმოჩენილ ორ რუსეთს, შეიძლება ლენინის მიერ კულტურაში გამოყოფილი დემოკრატიული და სოციალისტური რუსეთიც დავუმატოთ, მაგრამ არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა არასოდეს ორი რუსეთი ოფიციალური თვალსაზრისით. სახელმწიფოებივი პოლიტიკა რუსეთისა ერთი იყო მუდამ და ყოველთვის: იგი იმპერიულ-დერჟავული გახლდათ წინათაც და იმპერიულ-დერჟავულია ახლაც.

ერთი თვისება ახასიათებს ყველა დროის რუსეთს: იგი განგებ მალავს თავის ნამდვილ ზრახვებს და ესწრაფვის საკუთარი სიავე და ბოროტება სხვათა თვალში სათნოებად გაასაღოს; თავად მუდამ მოძალადე და დამპყრობელი, მცირერიცხოვან ერთა მოსარჩლედ და მფარველად წარმოჩნდეს. საილუსტრაციოდ მივმართოთ ისტორიას:

ოსმალეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში მოკავშირეებს მაძიებელმა რუსეთის მეფემ თევდორე ივანეს-ძემ 1585 წელს კახეთში თავისი ელჩი რუსინ-დანილოვი გაგზავნა. რუსთა ხელმწიფე პოლიტიკურ კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა ალექსანდრე კახთა მეფეს. წინადადება კახეთის ინტერესებსაც ეხმიანებოდა. მოძალადე თურქთაგან დასაცავად ალექსანდრემ ეს მომენტი სასარგებლოდ მიიჩნია და რუს დესპანს მოსკოვში ელჩებიც გააყოლა. კახეთის მეფე „თავს უდებდა" მოსკოვის ხელმწიფეს და მისგან „მფარველობას" ითხოვდა. ალექსანდრეს „აჯამ" თევდორე მეფე დიდად გაახარა. კახეთთან ურთიერთდამოკიდებულობის, ანუ მფარველობა-ხელდებულობის ხასიათს გარკვევა-დაზუსტების მიზნით საქართველოში ახალი ელჩობა გამოგზავნა.

რუსი დიპლომატები საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ კახეთთან დაახლოების საქმეში მოსკოვის ინიციატივაზე ხმა არ ამოეღოთ. სხვა არსებითი ხასიათის მოსაზრებათა გვერდით, ამას მოითხოვდა საქმის ფორმალური მხარეც: კახეთის მეფე მოსკოვის მეფის ხელდებული ხდებოდა. ამიტომ მასვე შეშვენოდა როგორც „აჯა და მოხსენება", ისე საამისო წინასწარი მოსამზადებელი საქმიანობაც. (ეს დაკვირვება ცნობილ ისტორიკოსს ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის).

ელჩებმა თან ჩამოიტანეს მოსკოვს შემუშავებული ფიცის ტექსტი. ეს ფიცი ალექსანდრემ, მისმა შვილებმა და დარბაისლებმა მიიღეს რუსეთის მეფის ერთგულებაზე. ფიცში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს კახეთის მეფემ ხელმწიფეს „თავი დაუკრა", ელჩები გაუგზავნა და თხოვა კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა. რუსთ ხელმწიფემ კი აჯა შეისმინა, ალექსანდრე შეიწყალა და მფარველობის ხელი დასდო. ვინც მხოლოდ ამ ფიცის ტექსტს („წიგნი ფიცისა") იცნობს, ჰგონია, რომ რუსეთს კახეთთან მიმართებაში მარტოოდენ კეთილშობილება ამოძრავებდა და სხვა რამ განზრახვა არა ჰქონია.

რუსეთის მხარე იყო ინიციატორი ქართლ-კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში მიღებისა XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც. გეორგიევსკის ტრაქტატის პრეამბულაში კი, ისე როგორც ხსენებულ ფიცის წიგნში, მთხოვნელად ქართველი მეფეა წარმოდგენილი.

პირმოთნეობითა და ცბიერებით იყო აღსავსე იმპერატორ ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა ფარგლების გავრცელებისთვის ქვეყნიერებაზე ისედაც უდიდესი იმპერიისა ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენ სალმრთო მოვალეობას, ყურად ვიღეთ რა ტანჯულთა მუდარა, მათი ნაღვლის განსაქარვებლად დავაწესოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების დამყარებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას კანონით ყველას დაცვას".

კიდევ უფრო დაფარვით, თორემ არსებითად ცარიზმის გზას ადგა ბოლშევიკური რუსეთიც. როცა 1922 წელს სსრ კავშირის შექმნა განიზრახა, იმ მოტივით, რათა ცარიზმის იმპერიისგან თავდაღწეული არარუსი ერების ახალ, საბჭოთა იმპერიაში თავსმოხვეული გაერთიანება შეენიღბათ, ლენინმა მოითხოვა: „რუს ხალხთან შემდგომი დაახლოების ინიციატივა ქვემოდან — წინათ ჩაგრული ხალხებისაგან წამოსულიყო, რაც განხორციელდა კიდეც.

იგივე პოლიტიკა გრძელდება დღესაც.

გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის მესვეურთა და აფხაზ სეპარატისტთა რუსეთისაკენ სწრაფვა რსფსრ-ში შესვლის მიზნით, — ინიციატივის ქვემოდან წამოსვლის ცარისტულ-ლენინური გეგმის მოდერნიზებული ვარიანტია თორემ, ეჭვგარეშეა, ამ სწრაფვასაც რუსეთი ახალისებს.

სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსები ყოველთვის დროულად როდი გამოიცნობდნენ რუსეთის ნამდვილ მიზანდასახულობას.

ცდებოდა ერეკლე II, როდესაც ქართლ-კახეთის „დასახმარებლად" გამოგზავნილ რუსეთის თითქოსდა ურჩ გენერალს ეკატერინე მეორესთან დაასმენდა. ქართველ მეფეს არ სჯეროდა, თითქოს ტოტლებენი ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც საიმპერატორო კარზე იყო დარიგებული. არსებითად ეკატერინე II და მისი გენერლებიც ერთ-დიდ-მპყრობელურ და იმპერიულ რუსულ პოლიტიკას ახორციელებდნენ: ტოტლებენის ნაცვლად გამოგზავნილ გენერალ სუხოტინსაც ხომ მისი წინამორბედისავე მსგავსი ინსტრუქცია მიეცა.

ცდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მყოფი ნოე ჟორდანია, დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთს ორი ტენდენცია გააჩნდა: „ერთი-პოლიტიკური და მეზობლური, მეორე იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცკი, სამხედრო მინისტრი და სტალინი, ეროვნებათა მინისტრი (კომისარი). პირველს კი ლენინი".

საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის პოლიტიკა, როგორც ვნახეთ, არასოდეს ყოფილა კეთილმეზობლური. იგი მუდამ იმპერიული იყო. ამ მხრივ არც ბოლშევიკური რუსეთი ყოფილა გამონაკლისი. მალე თავად ნ. ჟორდანია გახდა ამის არა მარტო მოწმე, არამედ მსხვერპლიც, როცა იგივე ლენინის ნებით, რუსეთის წითელი არმიის ნაწილები „აჯანყებული" ქართველი მუშებისა და გლეხების დასახმარებლად 1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოიჭრნენ და დაამხეს არსებული კანონიერი ხელისუფლება...

თუ ოციან წლებში საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული აგრესია საქართველოში „თანამოძმე პროლეტარიატის და გლეხობის მენშევიკური ჩაგვრისაგან განთავისუფლების მიზნით" განახორციელა, ახლა, — დემოკრატიის გზაზე დამდგარი რუსეთი, ყბადაღებული რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის საბაბით გვილერებს მუშტებს.

კიდევ ერთი რუსული თვისება გამო: შემჩნეულია: საკუთარ მთავრობასთან ოპოზიციაში მყოფი დემოკრატი რუსები, თუ ბედის წყალობით ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, სხვა ხალხებთან დამოკიდებულებაში ისეთივე თვით მპყრობელნი ხდებიან, როგორც მათი წინამორბედნი. სამაგალითოდ ავიღოთ ა. კერენსკი. ოპოზიციონერი და დემოკრატი ეს მოღვაწე, თვითმპყრობელობაზე ნაკლები გულმოდგინებით არ იცავდა სახელმწიფოს მთლიანობას და საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში დარჩენას დროებითი მთავრობის მეთაურის პოსტზეც. დავით კლდიაშვილი იგონებს, თუ როგორ საყვედურით მიუმართავს ქუთაისში ჩამოსულ კერენსკისათვის გიორგი ზდანოვიჩს: „ალექსანდრ ფიოდოროვიჩ, თუ თქვენ ამგვარი შეხედულებისა ხართ საქართველოზე, უმჯობესი იყო აქ ფეხი არ დაგედგათო!"

კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის სიტყვები: „დემოკრატიულ რუსეთთან ჩვენ თარჯიმანი არ დაგვჭირდებაო". მართლაც, დემოკრატიის ენა ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მაგრამ თავად რუსეთი რომ ვერ ჰგუობს დიდხანს დემოკრატიას. აქაური სუსხი ხომ ჩანასახშივე ანადგურებს ამ უცხო მცენარეს.

თუმცა რუსეთი დიდია და თვალუწვდენელი. აქა-იქ მაინც გაკრთება ხოლმე დემოკრატიის აჩრდილი. რა თქმა უნდა, ამას უნდა მივესალმოთ. არც მასთან კავშირზე შეიძლება უარის თქმა. მაგრამ ახალი შეცდომა აღარ უნდა მოგვივიდეს, — ეს არ არის მეორე რუსეთი.

ორი რუსეთი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით არ არსებობს, იგი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. ფანტაზიაზე პოლიტიკის აგება კი, როგორც თავის დროზე გერონტი ქიქოძე ბრძანებდა დამღუპველია.

# როცა ტყუილი ფეხს იდგამს...

უშანგ სახლთხუციშვილი

(გაგრძელება)

მკვლევარმა გ. მამითმა უნებლიედ გასცა თავისი თანამოძმე ექსტრემისტები, გასცა ის საიდუმლო, რასაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე აკეთებდნენ. დააკვირდით და აშკარად დაინახავთ, დღისით-მზისით როგორ გვტაცებდნენ თანამემამულეებს, როგორ უცვლიდნენ მათ ეროვნებას. აბა, შეხეთ, რას ქადაგებს ოსური პროპაგანდა, თუკი ვინმემ იცის ოსური ენა, ის უკვე ოსად უნდა დაეწეროს. გ. მამითს უკვირს კიდეც, პაპაშვილები და ოდიკაძეები, რომელთაც წმინდად იციან ოსური ენა, მაინც ქართველებად იწერებიანო. დორეულთვარელ ქართველებს სალაპარაკო ენად ოსური აქვთ, მაგრამ მანც ქართველებად იწერებიანო, თუმცა იქვე იმედიანად დასძენს, ქოლოთელმა ჩხითაურებმა ქართული კარგად აღარ იციანო. ამ ჩხითაურების საკითხი გ. მამითსა და ოსურ ექსტრემისტულ პროპაგანდას უკვე მოთავებული აქვთ. ამ ხალხისათვის უკვე გამზადებულია ოსური პასპორტები. ახლა, ალბათ, იმაზე ბჭობენ, როგორი დაბოლოებით ჩაუწერონ გვარი: ჩხითაური, ჩხითოვი, ჩხითაევი თუ ჩხითათი... რიგში ოდიკაძეები და პაპაშვილები ჩაუყენებიათ, გვარის ვარიანტებიც შერჩეულია: ოდიკაევი, ოდიკოვი, ოდიკათი... პაპაევი, პაპოვი, პაპათი...

ოსურმა პროპაგანდამ, როგორც ეტყობა, ძალიან ბევრი წაოაგო ანკესზე, ბევრი ქართველი დაარწმუნეს, რომ წარმოშობით ოსია და პასპორტშიც ოსი ჩაუწერეს. ეს პროპაგანდისტული მანქანა, ჩანს, ძალიან დიდი ხანია მიზანსწრაფულად მუშაობს და უკვე სამაჩაბლოს ფარგლებს გარეთაც გასულან. გ. მამითი იმოწმებს დ. ბეკოევს, რომელსაც „დაუდგენია“, რომ „მცხეთის რაიონში აღრიცხულია ოსური გვარები: აბაშვილი, ცაბაშვილი, რუბაშვილი, ყამბეგვაშვილი, მელაძე ... ზოგიერთი ოსური გვარი, — წერს ბ. ევი, — ქართულად ორ-სამნაირად გადაკეთებულა: ბესთაშვილი — ბესთავაშვილი — ბესთავაშვილი, თაბუაშვილი — თაბუაშვილი — თაბუკაშვილი, თედეშვილი-თედიაშვილი-თედელური, მარგიშვილი-მარგიანი... ამათ ყველას ოსური შესატყვისი აქვთ,“ ამ დასკვნას გ. მამითი აკეთებს.

გ. მამითის წერილს „გვარების შეცვლა“, რომელიც ოსური ჟურნალის „ფიდიაუგი“ 1989 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა, გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გავეცი პასუხი (N1 1991 წ. 9 იანვარი). გ. მამითის წერილში ბევრი საქვეყნოდ ცნობილი ქართული გვარი ოსურადაა მიჩნეული. წერილის ავტორი, ობიექტური მკვლევრის ნიღაბი რომ მოირგოს, აწგარდაცვლილ ქართველ მკვლევარს, ი. მაისურაძეს იმოწმებს, თითქოს იგი თავის წიგნში „ქართული გვარსახელები“ ოსურიდან წარმოშობილ ასზე მეტ გვარს სთვლიდეს.“ მაშინ, საპასუხო წერილში ყველა ეს გვარი არ ჩამოვწერე, მომერიდა აქ ჩამოთვლილი გვარების წარმომადგენელი ბევრი ჩემი ნაცნობ— მეგობარი თუ თანამშრომელ-მეზობელია და გავიფიქრე, ესენი ამ სიცრუეს ოსურ ჟურნალში ხომ ვერ წაიკითხავენ და მე რაღად ვატკინო-მეთქი გული?! მაგრამ შევცდი, ოს მეცნიერებს“ ეს აბსურდული „გამოკვლევები“ მარტო პრესის ფურცლებზე კი არ გამოუქვეყნებიათ, ამ სიცრუის გასავრცელებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მსტოვარ-ემისრებიც გაუგზავნიათ.

ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ რამდენიმე ათეულმა ადამინმა მომაკითხა, რათა დამედგინა მათი გვარის წარმომავლობა, ბევრმა წერილი გამომიგზავნა, მთხოვდნენ განმარტებას, შველას... ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი ხალხი გავიცანი. ამ ადამიანებს აინტერესებთ თავიანთი გვარის ისტორია, მოითხოვენ წართმეული ეროვნების აღდგენას.

საოცარია პირდაპირ, მოვა შენთან ადამიანი, დაგელაპარაკება, გეტყვის თავის გასაჭირს; შეხედავ, პიტალო ქართველია, გვარიც ქართული აქვს, ქართულის გარდა სხვა ენა არც იცის, აზროვნებს ქართულად, პასპორტში კი ოსი უწერია. ბევრი საბუთსაც მოგიტანს, სადაც წერია, რომ მისი პაპაცა და პაპის პაპაც ქართველები არიან. მაშ როდისღა წაართვეს ეროვნება, ვინ შეულახა ეროვნული გრძნობა და თვითშეგნება? როდის და ამ სამოცდაათწლიანი ბნელეთის ხანაში. ამას კი ჩვენმა ბედოვლათობამ შეუწყო ხელი. თვითეულ ჩვენთაგანსაც მიუძღვის ბრალი. ჩვენც დიდი ხანია წამოგვაგეს ანკესზე. თუ ვინმე ოსი რომელიმე ქართულ გვარზე დაეწერა, იმათ ქართველობაშიც კი ეჭვი შეგვეპარება, ვისი გვარიც გუშინ თუ გუშინწინ რომ მიითვისეს. ეს კარგად იციან ჩვენმა მტერმოყვარეებმა და სწორედ აქედან მოაქვთ იერიში.

დიახ, მაშინ იმ წერილში სწორედ ამიტომ არ მოვიტანე ყველა გვარი. იქაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, გ. მამითი ცრუობს, ი. მაისურაძეს არსად არ უწერია, რომ ეს გვარები: აბაშვილი, ანდიაშვილი, არბოლიშვილი, არსოშვილი, აღნიაშვილი ბაბაშვილი, ბათაძე, ბათიაშვილი, ბაკაშვილი, ბარათაშვილი, ბასიაშვილი, ბაღაშვილი, ბედოიძე, ბეჟანიშვილი, ბიბილაშვილი, ბიგნაშვილი, ბათაშვილი, გუზიტაშვილი, გუდიაშვილი, გურწიშვილი, დარჩიაშვილი, ელბაქიძე, ელყანიშვილი, ელოშვილი, ესაიაშვილი, ზადიშვილი, ზაზირაშვილი, თაბაშვილი, თარაშვილი, თარხნიშვილი, თაყაიშვილი, თედიაშვილი, თვაური, თინაშვილი, თურმანიძე, ქოქოშვილი, კოზინაშვილი, ლასიშვილი ლაზარაშვილი, მარღიშვილი, მაყიშვილი, ოსიტაშვილი, ოსიშვილი, ოსიძე, რუბაშვილი, სააკაძე, საბანაძე, საბაშვილი, სიდამონიძე, სოკურაშვილი, ტატაშვილი, ფარნიაშვილი, ფუხაშვილი, ქელდიშვილი, ქისიშვილი, კოზაშვილი, კობესაშვილი, ქუმსიშვილი, ქუძიშვილი, ქუჯაშვილი, ყარაშვილი, შიუკაშვილი, ჩეთიძე, ჩეხოშვილი, ჩეფანაშვილი, ციბირაშვილი, ცხოვრებაშვილი, ცხოვრებაძე, წერეთელი, ხაბალაშვილი, ხაბელაშვილი, ხარებავა, ხაჩირაშვილი, ხეთაგიშვილი, ხეთაგური, ხინჩაგაშვილი, ხოსროშვილი, ხოხაშვილი, ხუბულაშვილი, ხუბეჯაშვილი, ჯაგაშვილი, ჯებისაშვილი, ჯეირანაშვილი, ჯიბლაძე, ჯიჭოშვილი, ჯულაშვილი და სხვა“ ოსურიდან იყოს წარმოშობილი. ეს კი არა, აქ ჩამოთვლილი გვარებიდან ზოგი საერთოდაც არ გვხვდება ი. მაისურაძის წიგნში. ეს გ. მამითის მოგონილი ტყუილია! რატომ ცრუობენ ოსი მკვლევრები, ნუთუ მათ არ იციან, რომ ასეთი მსჯელობა აბსურდია? შეუძლებელია ეს არ იცოდნენ, მაგრამ მათ მეცნიერული ჭეშმარიტება არ აინტერესებთ, ისინი ოსი ექსტრემისტების დაკვეთას ასრულებენ; სამაჩაბლოში ყველა ტოპონიმი ოსური უნდა იყოს, სამაჩაბლო „სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკად უნდა გადაკეთდეს. მაგრამ ასეთი პატარა რესპუბლიკა აღარ დააკმაყოფილებთ მადაალძრულ ექსტრემისტებს, მას უნდა შეუერთდეს გორის, კასპის, ქარელის, მცხეთის, ხაშურის, ბორჯომის... რაიონები. შეიძლება შემდეგ უფრო განზეც გაიწიონ, ვინაა დამშლელი, როცა „დიდი ძმა“ მხარში უდგას და აქეზებს! მაგრამ მომავალი დიდი ოსეთის სახელმწიფოსათვის ჯერ ნიადაგი უნდა შეამზადო, ძირფესვიანად უნდა ამოძირკვო ქართული ტოპონიმია, მკვიდრი მოსახლეობა უნდა ეროვნულ უმცირესობად აქციო, შემდეგ სულაც გაასო. მათი გვარები უნდა მიითვისო, მერე ისიც უნდა შეაპარო რომ თითქოს შენ საკუთარი ოსური გვარი გქონდა და ქართველებმა წაგართვეს; დასწამე ცილი, თითქოს ოსების გვარებს ქართველები თავიანთებურად აკეთებდნენ. ზოგს შვილს უმატებდნენ, ზოგს — ძეს, ზოგს კი — ურს“.

დააკვირდით, როგორ ცრუობს და თვალში ნაცარს გვაყრის გ.მამითი. მე და თქვენ ხომ ვიცით, პატივცემულო მკითხველო, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენებურად არავის ვუკეთებთ გვარებს. პირიქით, ქართველებს ერთი უკურნებელი სენი შეგვეყარა, რომელიმე პიროვნებაში ეჭვი თუ შეგვეპარა, მის წარმომავლობას ძირისძირობამდე ჩავყვებით, სხვა ერის წარმომადგენლები თუ ორი-სამი თაობის შემდეგ უკვე თავისი ერის შვილად ჩათვლის მავანს, ჩვენ ლამის ათი თაობის იქითაც საგულდაგულოდ გაუჩხრეკავთ და თუ რაიმე საჭოჭმანო ვიპოვეთ, თვითონ ამაზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდეს, ქართველად აღარც ჩავთვლით. აი, სორედ ამას მიგვიხვდა მოყვრად მოსული მტერი.

თუ კარგად დავუკვირდებით, ოსმა „მეცნიერებმაც“ ეს ფანდი გამოიყენეს. ჯერ იყო და სამაჩაბლოში ქართველების შევიწროება დაიწყეს, ზოგი აიძულეს მამაპაპისეული ალაგი დაეტოვებინა, ზოგი გაასეს. გ. მამითს თუ დავუჯერებთ, სულ ადვილი ყოფილა ეს ოპერაცია: ოსური ენა იცის კაცმა, პასპორტშიც ოსად ჩაწერენ! სამაჩაბლოდან წასულმა ქართველებმა გვარებიც ხომ გაიყოლეს თან, ქვეყანას მოსდე, რმ ისინიც ოსები არიან. ყველამ ხომ არ იცის თავისი გვარის ისტორია-ეტიმოლოგია, შეიძლება თვითონ ისინიც წამოეგნენ შენს ანკესს და დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაიჯერებენ. თან შეაპარე გ. მამითის დარიგება: „წინაპართა ენისა და ეროვნების უცოდინარობა ძალზე სამარცხვინო საქმეა-თქო. იმ გვარის ხალხი, ვინც მიზანში ამოიღე, თვითონ თუ არ დაიჯერებს, მის მეზობლებს მაინც შეეპარებათ ეჭვი და შეიძლება წამოსძახონ კიდევაც, „შენ რა ქართველი ხარო„ შენც ხომ ეს გინდოდა, შენმა პროპაგანდამ ნაყოფი გამოიღო უკვე.“

დიახ, მტერმა კარგად შეგვისწავლა. იცის, რა გვწყინს და რა გვახარებს; იცის, ქართველს რომ უთხრა, ქართველი არა ხარო, თუნდაც თოფი დაგიცია!

* * *

გვარი სახელთან (მეტსახელთან) და მამის სხელთან შედარებით უფრო გვიან გაჩნდა. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა იმ მხრივაცაა, რომ აქ ადრევე წარმოიშვა გვარი. გვარი, დღევანდელი გაგებით, მაღალ განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა. ისეთი ცივილიზებული ქვეყნებიც კი როგორიც გახლავთ, იტალია, საფრანგეთი, გერმანია... გვარების წამროშობა, მეცნიერთა ვარაუდით, XI—XII საუკუნეების იქით არ მიდის. ქართველებმაც, როგორც ცნობილია, ამ პერიოდში შექმნეს ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო. ბევრი ქართული ფეოდალური გვარიც სწორედ ამდროიდან მომდინარეობს. ალბათ, გლეხებს უფრო გვიან გაუჩნდათ გვარები. XIV—XV საუკუნეებში ქართველ გლეხებს გვარი რომ ჰქონდათ, ამის უტყუარი საბუთი ბევრი არსებობს საქართველოში მცხოვრებმა სხვა ერის წარმომადგენლებმაც, აშკარაა, ჩვენი მოდულით გაიკეთეს გვარები. ეს რომ ასეა, ამას ებრაელების მაგალითიც ადასტურებს. ქართველი ებრაელები სხვა ებრაელებისაგან იმითაც განსხვავდებიან, რომ მათ ქართული გვარები აქვთ. ასევე ქართული გვარები აქვთ პანკისელ ქისტებსაც. ქართული მოდელითვე შეიქმნა ოსთა გვარებიც. ამაში არც არაფერია სადავო და არც გასაკვირი! სადავო და გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ოსმა „მეცნირებმა“ ყველა ქართველი, ვისაც კი ოსებთან საერთო გვარი აღმოაჩნდა, ოსად ჩათვალა და ზოგიერთმა ვაიქართველმა ეს სიცრუე ჭეშმარიტებად მიიჩნია. გონება დაბინდულები ვერ ხვდებიან, რომ ოსი ექსტრემისტების დიდი ხნის მიზანი სწორედ ეს არის, ერთმანეთს დაგვაპირისპირონ, განხეთქილება შემოიტანონ, წყალი აამღვრიონ და მერე მშვიდად დაიჭირონ თევზები. კარგია, როცა კაცს კარგი გვარი აქვს, მაგრამ კაცი მარტო გვარის ღირსებით არ ფასდება, პირიქით, სწორედ რომ კარგ პიროვნებას შეუძლია ღირსება მისცეს თავის გვარს.

სხვადასხვა ერებში სხვადასხვა დროს წარმოიშვა გვარი. იმ ხალხებში,რომელთაც დეკრეტით მიიღეს გვარები, არჩევის საშუალება მიეცათ და მათაც ღირსეული გვარები შეირჩიეს. ქართველებს კი დეკრეტით არ მიგვიღია გვარები, ჩვენი გვარები სულ სხვადასხვა გზითაა წარმოშობილი. ერთი კი არის, ჩვენთანაც და სხვაგანაც, ძირითადად მამის (პაპის) სახელისაგან (მეტსახელისაგან) თუ პროფესია — თანამდებობისაგან მომდინარეობს. სახელს კი (მით უმეტეს მეტსახელს!) ადამიანს იმიტომ არქმევენ, რომ სხვაში არ ერიოთ, სხვათაგან გამოირჩეოდეს.

საკუთარ სახელებად ჩვენთანაც და სხვა ქრისტიანულ ერებშიც ძირითად ბიბლიურ პერსონაჟთა სახელებს ანუ ე.წ. კალენდარულ სახელებს არქმევდნენ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ შუა საუკუნეებში ჩვენში დიდად პოპულარული იყო სპარსული ლიტერატურა. „შაჰნამესა“ და სხვა ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები მასობრივად გავრცელდა ქართველებში. როსტომი, ზურაბი, ზაალი, ნოდარი, გივი, მერაბი, ... არც კი გვგონია თუ ქართული სახელები არაა.

• მეჩვიდმეტე საუკუნიდან ქართულ სამეფო-სამთავროებში ფეხს იკიდებს არაბულ-სპარსულ-თურქული სამოხელეო ტერმინოლოგიაც: მდივანი, მდივანბეგი, ნაზირი, ყორჩი, ყორჩიბაში, მეითარი, ყაფიჩბაში, ყორიასაულბაში, ამილახორი, ყაზბეგი, ქეხა, მელიქი, თუშმალი.. და სხვა. ეს თანამდებობები გვიან საუკუნეებში თითქმის მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. დროთა განმავლობაში ამ სახლის შვილებს მამა-პაპათა თანამდებობა გვარად ექცათ:მდივნიშვილი ყორჩიბაშიშვილი, ყორჩიშვილი მეითრიშვილი, ამილახვრიშვილის (ამილახვარი), ნაზირიშვილი, ყაზბეგიშვილი (ყაზბეგი), მელიქიშვილი, მელიქიძე, ქეხიშვილი, თუშმალიშვილი... როგორც გითხარით, ამ გვარებს საფუძვლად უდევს არაბულ-სპარსულ-თურქული სიტყვები. ქართულია თუ არა ეს გვარები? რაღა თქმა უნდა, ქართულია. რადგან ისინი ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული და ქართული მოდელით შექმნილი. ასე რომ არ იყოს, ქართულ გვარებად არ უნდა ჩაითვალოს არც ზურაბიშვილი, ნუგზარიშვილი, ოთარაშვილი, მერაბიშვილი, ნოდარიშვილი, როსტომაშვილი, ზაალიშვილი... რაკი მათ უცხო ენებიდან შემოსული სახელები უდევთ საფუძვლად. თუ ასე გავყვებით ქართულ გვარებად არ უნდა ჩაითვალოს არც დავითაშვილი, დავითიძე, ივანაშვილი, ივანიძე, ბასილაშვილი, ბასილაია, გიორგაძე, დემეტრაშვილი, დემეტრაძე, ალექსანდრია, პეტრიაშვილი, პავლიაშვილი, თევდორაშვილი, თევდორაძე.. რადგან არც ამ გვარებს უდევს საფუძვლად „წმინდა ქართული“ სახელები. ამ აბსურდული მტკიცების ძალით არც ივანოვი ჩაითვლება რუსულ გვარად, არც პეტროვი თუ პავლოვი... და არც პეტერსი თუ პაულსი ლატვიურ გვარებად. მერე და ვინ დაგიჯერებთ? ლატვიელს რომ უთხრათ, თქვენი სახელოვანი მწერლები იან პეტერსი ან ანდრი იაკუბანი ლატვიელები არ უნდა იყვნენ, რადგან მათ გვარებს უცხო ენიდან შემოსული სიტყვები უდევთო საფუძვლად, არ გადაირევა? ლატვილები ზოგიერთი ჩვენი „განათლებული“ ქართველივით რომ მსჯელობდნენ, გვარის წარმომავლობით თუ დაიწყებენ „წმინდა ლატვიელების“ ჩხრეკვა-ძიებას, ათიოდე მწერალიც აღარ აღმოაჩნდებათ და“ ლატვიელთა რაოდენობაც, ალბათ, განახევრდება. მაშინ ხომ აღარც მათი კლასიკოსი მწერლები ედუარდ ვეიდენბაუმი და არც რუდოლფ ბლაუმანი იქნებიან ლატვიელები და აღარც კრიშიან ბარონი თუ ელზა როზენბერგი (ასპაზია), აღარც დიდი მხატვარი როზენტალი იქნება ლატვიელი, აღარც ლატვიური საოპერო მუსიკის ფუძემდებელი იან ივანოვი და აღარც ლატვიური ლიტერატურის თეორეტიკოსი იანსონ-ბრაუნი. მათი ყველაზე პოპულარული პოეტი ოიარვაციეტისი ხომ მთლად გერმანელი აღმოჩნდება, რადგან სიტყვა „ვაციეტისი“ გერმანელს ნიშნავს, ვაცია კი — გერმანელს.

**დასასრული მე-8 გვ.**

# როცა ტყუილი ფეხს იდგამს...

უშანგ სახლთხუციშვილი

დასასრული

თუ ასე გავაგრძელებთ, მაშინ გამოდის, რომ ლატვიელებს თავიანთი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ „რუსი“ გორბუნოვი მოუწვევიათ. პრემიერ მინისტრი გოდმანიც, ალბათ, გერმანელი ჰყავთ და პარლამენტის წევრებიც: ბუში, ბიშერი, ბაიარი თუ სხვანი — ინგლის— ამერიკიდან იქნებიან ჩამოსულები.

ჩემთვისაც ხშირად უკითხავთ, ლატვიის პარლამენტის მეთაური ანატოლ გორბუნოვი წარმოშობით რუსი არისო? არა, ბატონებო, ლატვიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ლატვიელი ხალხის საყვარელი და აღიარებული ლიდერი ა. გორბუნოვი „წმინდა სისხლის“ ლატვიელი გახლავთ, ოღონდ გვარი აქვს რუსული... რუსული გვარი კი კარიერისტული მიზნით არ მიუღია. ლატვიელებს რომ რუსული გვარებიც აქვთ, ეს ამ ხალხის ძნელბედობის მაუწყებელი გახლავთ. ლატვიაში წმინდა ლატვიურ გვარებთან ერთად (ლიეპა, ნიედრე, კრუმინი ბერზინი, კალნინი, ლაცისი) საკმაოდაა გავრცელებული სხვა მოდელების გვარებიც გერმანული. როზენბერგი, ვაგნერი, შტრაუსი, ეიხვალდი, ბერგი, მტეინბერგი, ვეინბერგი, შვედურ-სკანდინაური: ანდერსონი, მარტინსონი, პეტერსონი... რუსული: ივანოვი, კარპოვი, სტობოვი, ვოროიბიოვი, ნეფედოვი: პოლონური: ლუკიანსკი, ბარანოვსკი, ბარტკევიჩი, ლინკევიჩი, ესტონური: სოიდა, კარმა, რაამატი... ლიტვური: იაკაიტი... შეიძლება ესტონური და ლიტვური მოდელებით ნაწარმოები გვარების წარმომადგენლებს შორეული წინაპრები მართლაც ესტონელები და ლიტველები ჰყავდათ. ჩემმა მასწავლებელმა, აწ განსვენებულმა პროფ. ე. სოიდამ იცოდა, რომ მისი პაპა ესტონელი იყო. ამის თქმა არც ეთაკილებოდა და ვერც ვერავინ უკიჟინებდა: „წინაპარი ლატვიელი არ გყოლია, შენ რა ლატვიელი ხარო“ არც ჩემი თანაკურსელებისათვის: სტობოვისა თუ კარპოვისათვის უთქვამს ვისმე, რუსები ხართო, არც ბარანოვსკასათვის წამოუძახებიათ პოლონური წარმომავლობა და არც რაშმეირე თუ მუსტერესათვის დაუბრალებიათ გერმანელობა. არც ჩემი მასწავლებლების: ეიხვალდის, როზენბერგის, ლოსბერგის... ლატვიელობაში შეპარვიათ ეჭვი. რატომ? იმიტომ, რომ ლატვიელებმა იციან,მხოლოდ გვარის ჟღერადობა — წარმომავლობა კი არ წყვეტს, რომელი ერის წარმომადგენელია ესა თუ ის ადამიანი, არამედ ამ ადამიანის ეროვნული თვითშეგნება , ენა აზროვნება,ტრადიციები და ეროვნული იდეალებისათვის თავდადება. არც ერთ ლატვიელს წამითაც არ შეეპარება ეჭვი გორბუნოვის ლატვიელობაში, რაკი მას რუსული გვარი აქვს, იმას კი ყველა გეტყვით, რომ ვიქტორ ალქსნის ლატვიელობისა არაფერი სცხია რა, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ლატვიური გვარი აქვს. შავმა პოლკოვნიკმა არც ლატვიური იცის, არც მის ტრადიციებს სცემს პატივს და აღარც ლატვიელად თვლის თავს.იგი გარუსებული ლატვიელია, ეს აშკარაა, მაგრამ ნამდვილ რუსებს კი სჭირდებათ ასეთი გარუსებული ადამიანები? ლატვიური გვარი უბრალო „საშვად“ სჭირდება გარუსებულ პოლკოვნიკს, მაგრამ ამ „საშვმა“ უკვე დაკარგა ძალა.

ლატვიელმა იცის, რომელი გვარია წმინდა ლატვიური და რომელ სხვათა მოდელით გაკეთებული. მათ ისიც იციან,რომ „წმინდა სისხლის ლატვიელების“ ძებნა გვარების მიხედვით, ფუძე— ძირების ჩხრეკით, აბსურდულია. ამიტომ არც ეძებენ:ლატვიელებს კი თავიანთი გვარები დიდი ხანია შეკრებილ-შესწავლილი და გამოცემული აქვთ.

ჩვენთან როგორღაა საქმე? ტოპონიმიკის ლაბორატორია უკვე შეუდგა საქართველოში გავრცელებული გვარების აღწერას და სულ მალე, თუკი სათანადო ხელის შეწყობა ექნება, გამოაქვეყნებს ამ გვარსახელების ვრცელ ლექსიკონს.

* * *

1991 წ. 10 მაისს გაზეთ „ლიტ. საქართველოში“ გამოქვეყნდა ბატონ რ. თოფჩიშვილის მეტად საინტერესო და მრავლის მთქმელი წერილი „ვინ არის ქართველი?“ ცამდე მართალია ავტორი, როცა ამბობს, „ქართველია ყველა,ვისაც ქართული ეროვნული შეგნება აქვს!“ ახლა ასეთი პერიფრაზი გავაკეთოთ, რომელია ქართული გვარი? ყველა, რომელიც კი შექმნილია ქართული მოდელით, ე.ი. რომელიც მთავრდება: შვილზე, ძეზე,-იაზე, —უაზე, —ავაზე, —ურზე, იანზე, —ანზე, —იონზე, —ოვანზე, —ილზე, —არზე, ... (არის სხვა ტიპის ქართული გვარებიც: ჯანდიერი, ჯაბადარი, მუჯირი,ყაზბეგი, ... მეღვინეთუხუცესი, მამასახლისი... რომელთაც ჩამოცილებული აქვთ მაწარმოებელი სუფიქსები: შვილი, ძე როგორც ვხედავთ, ამ გვარებს საფუძვლად უდევს თანამდებობა — პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები.)

მაშასადამე ყველა ამ სუფიქსით ნაწარმოები გვარი ქართული გახლავთ, ოღონდ ასეთ გვარს ქართველების გარდა შეიძლება სხვა ერის წარმომადგენელიც ატარებდეს მაგ, ბალაკაშვილი, ბორჩაშვილი, გუმაშვილი, ფარეულიძე— ქართული გვარებია, მაგრამ მათი მატარებელნი, ვისაც კი ვიცნობ, ქისტები გახლავან. შეიძლება ამ გვარებს ქართველებიც ატარებენ. ეს კი მაშინ გაირკვევა, როცა მთელს რესპუბლიკაში აღიწერება და ლექსიკონად გამოიცემა ქართული გვარისახელები. მანამდე კი ანკესზე ნუ წამოვეგებით და ნუ ავყვებით ტყუილებს, თუ რომელიმე გვარს ოსიც ატარებს და ქართველიც, ამ ქართველზე ეჭვი ნუ შეგვეპარებათ.

მას სულ არ მიუძღვის ბრალი, თუ კი მის გვარს სხვა ეროვნების ადამიანებიც ატარებენ.

ზემოთაც გითხარით, ამ საკითხზე ბევრმა ადამიანმა მომაკითხა და ახლაც მაკითხავენ. ზოგი თუ იმას ჩივის, რომ ქართველია, წინაპრებიც ქართველები ჰყავდა, პასპორტში კი ეროვნებად ოსი უწერია.. ზოგი, ალბათ, ბევრს გაუკვირდება, ისეთიც მოდის, ვისაც გვარიც ქართული აქვს და საბუთშიც ქართველად წერია. მაშ რამ შეაწუხა ეს ადამიანები? ასე დაჟინებით რატომ მოითხოვენ თავიანთი გვარის ისტორია-ეტიმოლოგიას? რატომ და როგორც ეტყობა დ. ბეკოევის, გ. მამითისა და მათი ამფსონების მიერ დათესილმა შხამიანმა მარცვალმა, მწარე ნაყოფი გამოიღო, ბევრმა გონებადაბნეულმა ქართველმა, ჩანს, მართლა დაიჯერა ეს სიცრუე და იმ ქართველებს, რომელთაც საერთო გვარი აღმოაჩნდათ ოსებთან, ეჭვის თვალით შეხედა. ალბათ, გულდრძოდ უთხრეს კიდეც, „შენ რა ქართველი ხარო“. გ. მამითი მოწამლულ მარცვალს რომ თესავს, ერთერთ ქართულ სოფელში (სადაც ბევრჯერ ვყოფილვარ და ძირფესვიანად მაქვს შესწავლილი აქაური ონომასტიკა) ას კომლ ოსს ასახელებს. აქვე გეტყვით, ტოპონიმისტები როცა მასალას ვკრებთ, ვიწერთ მოსახლეობის რაოდენობასა და მის ეროვნულ შემადგენლობას. ე.ი. ჩვენ გვაინტერესებს, რა ენაზე მეტყველებს მოსახლეობა, რადგან უცნობი შინაარსის გეოგრაფიული სახელი რომ შეგვხვდეს, სიტყვა იმ ენის ლექსიკონში უნდა დაიძებნოს. ჩემს კითხვაზე, ძირითადად რა ეროვნების ხალხი ცხოვრობს თქვენს სოფელში-მეთქი, ინფორმატორმა მიპასუხა: „ჩვენი სოფელი ერთ-ერთი წმინდა ქართული სოფელი გახლდათ, ძველი ტრადიციებითა და წესჩვეულებებით, ქურდობა ჩვენთან არ იყო და ყაჩაღობა, ახლა ყველაფერი აირია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სოფელი აჭრელდა, საიდანღა არ მოვიდა აქ ხალხი, ეს არ გვაკმარეს და ახლა ხუთი კომლი ოსიც ჩამოგვისახლეს ... გ. მამითს კი რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ ამ სოფელში ასი კომლი ცხოვრობსო და, რაც მეტად სამწუხაროა (ეს, ალბათ, ჩემმა ინფორმატორმა არც იცის) ამ კაცის გვარსაც ოსურად თვლის. თუმცა კი ეს გვარი მოდელითაც, ეტიმოლოგიურადაც და ჟღერადობითაც ქართული გახლავთ, და, რაც მთავარია, ამ სოფელში მეთვრამეტე საუკუნეშივე დასტურდება.

რა საფუძველი აქვს გ. მამითს, რომ ამ სოფლიდან ასი კომლი „გაოსა“? ჩემი აზრით, ამის საფუძველი ის გახლავთ, რომ სამაჩაბლოში ამ გვარის ხალხი ცხოვრობს, რომელთაც უკვე დააკარგვინეს ქართველობა. გ. მამითმა, როგორც „მეცნიერმა“, დაკვეთა პირნათლად შეუსრულა ოს

ექსტრემისტებს და ქართველ
ხარჯზე. თანატომელთა რაოდენო
ერთი ორად გაუზარდათ.
როგორც გავიგე, ამ სოფელ
მართლაც ყოფილან ოსი ექსტრ
მისტთა [illegible]
ისიც ვიცი, რომ იქაურ მოს
ლეობას ძლივს გადაურჩნენ ც
ცხლები.
მახსენდება, ერთ-ერთი რაი
ნის პრეფექტს წყალი შეუყენ
ვილაცას თვალში არ მოუვიდა
მოხსნა დაუპირეს(როგორც შემდ
გში გავიგე ეს კაცი ერთ დღ
ორჯერ მოეხსნათ და რატომღ
ისევ ორჯერვე აღდგენათ თან
დებობაზე). ხელჩასაკიდი რომ
რაფერი უპოვეს, მისი და მ
მეუღლის გვარს დაუწყეს ჩხრე
კომისიის ერთერთი წევრი, რო
მელიც ამ პრეფექტს ოცდაა
წელი მაინც იცნობდა, მიმტკიც
ბდა, ეს პრეფექტი ქართველი
აღმოჩნდაო. საიდან დაასკვ
მეთქი. გავიკითხე და მაგის
ბიძაშვილებმა მითხრესო.
მკითხველო, ეს რომ სიცრუ
თავადაც ადვილად მიხვდები. გ
დაიჯერებს ვინმე, რომ გვარგამ
ცვლილმა კაცმა თქვას, მე ქართვე
არა ვარო? საუბარში შემოსწრ
ბულ დეპუტატს ვუთხარი: „ამ
რატომ აკეთებთ, თუკი იმ კაც
მოხსნა გინდათ, ნუთუ სხვა მიზე
ვერაფერი მოუძებნეთ, მის გვა
რას ერჩით მეთქი. მასაც და მ
მეუღლესაც ხომ ბავშვობიდან
იცნობთ; განა როდისმე გაგიგ
ნიათ, რომ ეგენი ქართველები ა
არიანო? რა გარანტია გაქვთ, რო
ხვალ თქვენ არ წამოგიყენებ
ასეთ ბრალდებას?“ ისე აგიხდ
ყველაფერი კარგი, როგორც
ჩემი სიტყვები გამართლდა. სუ
მალე ამ დეპუტატსაც დასწამ
არაქართველობა...
პატივცემულო მკითხველ
მგონი გადაგღალე ამდენი საუბ
რით. ამიტომაც ვდებ კალამ
ოღონდ ერთხელ კიდევ შეგახსე
ნებ, ტყუილს ნუ აადგმევინებ
ფეხს, ნუ აჰყვები ჩვენი მტრებ
მოწამლულ სიტყვებს, თუ
წმუნებული არა ხარ, გულში
ნუ გაივლებ ვინმეზე, ქართველ
არ არისო. როგორც გითხარი
ქართველობა გვარის ჟღერადო-
ბა-წარმომავლობით კი არ გა-
იზომება, არამედ ადამიანის
ეროვნული შეგნებით! ერთ
კიდევ გეტყვი, მეთვრამეტე სა-
უკუნის ერთ ყველაზე დი
ქართველს წინაპრები ქართვე-
ლები არ ჰყავდა, მაგრამ
ქართულ პატრიოტიზმს სამშო-
ბლოსადმი მისი ერთგულებით
თავდადებითა და სიყვარულით
ზომავენ დღესაც... ეს უნდა
გვახსოვდეს მუდამ!


## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

1993 წლის 15 იანვარს გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

განიხილება საკითხი სსფ-ს III ყრილობის მოწვევის შესახებ.

დას. 13 საათზე

სახალხო ფრონტის საორგანიზაციო განყოფილება.



## საზღვარგარეთის ქვეყნებში სწავლის გაგრძელების მსურველთა საყურადღებოდ!

გეძლევათ შანსი, გაიაროთ რეგისტრაცია და გახვიდეთ აშშ-ს საელჩოს TOEFL-ის გამოცდაზე 1993 წლის 3 აპრილს ქ. ერევანში.

მსურველებმა მოგვაკითხონ TOEFL-ის მოსამზადებელ კურსებზე ქ. თბილისში, იმედაშვილის ქ. N 4 (გაგარინის მოედანთან), № 123-ე საშ. სკოლაში 11 დან 25 იანვრამდე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 15 საათამდე. შენიშვნა: 25 იანვარს, ორშაბათს, 13 საათზე ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდა.

ტ. 37—05—11



ინდექსი 66447

ფასი 9 მან. 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29

გაზეთი იწყობა კომპიუტერზე მსოფლიო ლაბორატორიის საქართველოს განყოფილებაში 1991 წლის დეკემბრიდან

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი